საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 27 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული უნდა გამოგზავნონ: ტფილისი, ... ქ. 199. Редакція „Эртоба“. ... გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 257 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 257

უსაზღვროთ დამწუხრებულნი გრიგოლ ალექსანდრეს ძე და თამარა მალაზონიები, ძმა ივანე დიმიტრის ძე ნაკაიძე, დედა თებრონე, კესარია, ფუდუ და ვასასი ნაკაიძეების ასულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი ქალის

თ ი ნ ა ს

დაკრძალვა მოხდა კუკიის სასაფლაოზე, 26 ნოემბერს.

გულდათუთქულნი კესარია შვილებითურთ, მაკრინა ქმარ შვილით, გრიგოლი ცოლშვილითურთ და ირაკლი დიანოსის ძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ღ. სამტრედიაში გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი დედა

სალომე პაპავასი.

გამოსვენება საკუთარ ოჯახიდან და დაკრძალვა მაცხოვრის ეკლესიაზე მოხდება ხუთშაბათს, დილით, 28 ნოემბერს. (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი დედ-მამა ფარნა და ოლინკა შვილებითურთ, შამარა სანიკიძისა და მეუღლე მისი კოწია, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ თფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველთა უძვირფასესი შვილი, ხოლო უკანასკნელთა დაუვიწყარი დეიდაშვილი

თამარა გაბუნია.

დაკრძალვა მოხდება დღეს, 27 ნოემბერს ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე.

მედიკურ საზოგადოების შენობაში (გიორგის ქუჩა)
კვირას, 1 დეკემბერს, დილის 12 საათზე გაიხსნება საქართველოს რესპუბლიკის მოსამსახურე ფარმაცევტთა

პირველი ყრილობა.

საორგანიზაციო ბიუროს მისამართი: ქალაქის აფთიაქი. ყრილობის წევრები უნდა გამოცხადდენ ბიუროში წინადღით.

(2—1) ფარმაც. ყრ. მომწვევი საორგანიზ. ბიურო.

## ჩვენი პარტია

საქართველოს ს.-დ. პარტიის დაარსება ბევრს ისევე მწვავეთ მოხვდა გულში, როგორც ჩვენი დამოუკიდებლობა.

ერთი მხრით ნაციონალისტებმა ამაში დაინახეს გამარჯვება თავის სეპარატიულ მისწრაფებებისა დემოკრატიულ წრეებში. მეორე მხრით ჩვენმა ზოგიერთმა ამხანაგებმა ამ აქტში ნაციონალიზმი ამოიკითხეს და დემოკრატიული ფრონტის დარღვევა, ინტერნაციონალიზმის ღალატი დაგვაბრალეს.

მართალია ეს ბრალდება?

ქართველი ნაციონალისტების სიხარული მეტად უდღეურია. ისინი მალე დარწმუნდებიან, რომ საქართველოს საზღვრებშივე, ისე როგორც წინეთ რუსეთის ფარგლებში სოც. დემ. პარტიას ასულდგმულებს იდეა, მუშათა კლასის დაცვისა, იდეა ერთა სოლიდარობისა, და რომ პრინციპი ინტერნაციონალიზმისა უძღვის და ხელმძღვანელობს ყოველ ნაბიჯს მუშათა პარტიისას.

მოქმედება რომელიმე ერის, გინდ მცირე სახელმწიფოს ფარგალში,—ეს მხოლოდ შეზღუდვაა ტერიტორიალურ სამოქმედო ფარგლის და არა შეცვლა საერთაშორისო პროლეტარიტის დიად იდეების.

მაგრამ ამის დანახვა ნაციონალისტებს აშინებს და ამიტომ ისინი მზათ არიან ბუკი და ნაღარა დასცენ, თუ კი გარეგნული სახე მაინც იქონიოს, ისეთი, რომელსაც შეუძლიან ხელი ჩასჭიდონ, რათა თავის ნაციონალისტური იდეების სისუსტე გულუბრყვილო მკითხველს სიძლიერეთ მოაჩვენონ. მხოლოდ, როცა ამას ვერ ხედავდენ ის ამხანაგები, რომელნიც თავის თავს ს.-დემოკრატებს უწოდებენ, აღარ ვიცით ეს გარემოება რას უნდა მივაწეროთ.

ერთმა ჯგუფმა, მცირე რიცხოვანმა, ძალით და გავლენით ყოვლად უმნიშვნელომ, მრავალ სხვადასხვა ორგანიზაციების სახელით პროტესტიც კი უძღვნა ახლად დაარსებულ საქართველოს პარტიას, თუმცა ყრილობაზე სულ 5 კაცი იყო ამ პროტესტანტების წარმომადგენელათ, 75 დელეგატიდან.

რუსეთის საერთო დემოკრატიული ფრონტის სახელით გვეკითხავდენ ეს ამხანაგები სოლიდარობის ნოტაციებს, იმ ფრონტის სახელით, რომელიც გაირღვა არა ჩვენის სურვილით, არამედ ჩვენი სურვილის წინააღმდეგ, იმ ფრონტის სახელით, რომელიც სამწუხაროთ, დღეს მხოლოდ მათს ოცნებაში არსებობს, სინამდვილეში კი დენიკინების და ლენინებისთვის აქვს ადგილი დათმობილი.

ჩვენ არა ნაკლებ გვაწუხებს და გვიკლავს გულს რუსეთის დემოკრატიის დამარცხება. ჩვენ არა ნაკლებ ვიქნებით მოხარული რუსეთის დემოკრატიის აღდგენით.

მაგრამ ამისთვის საჭიროა და აუცილებელი ერთი გზა: დემოკრატიის გაძლიერება და გამაგრება ადგილობრივ, მისი პოზიციების გამტკიცება იქ, სადაც შესაძლებელია შენარჩუნება რევოლიუციის მადლის, მისი საშუალებით შეძენილ დემოკრატიულ უფლებების.

ამ გზას ვადექით ჩვენ რევოლიუციის პირველ დღიდანვე. და დღესაც როცა რუსეთის რევოლიუცია ნანგრევებათ იქცა და დემოკრატია მიწაზეა განრთხმული, ჩვენ ადგილობრივ მაინც გვსურს და ვიმედობთ შევინარჩუნოთ ნაპერწკალი რევოლიუციის ცეცხლისა და მივიტანოთ იგი საერთაშორისო მუშათა კლასის საკურთხეველზე.

ჩვენს მოწინააღმდეგეებს, რომელთაც მიზნათ დაუსახავთ, არა ინტერესი საერთაშორისო პროლეტარიატისა, არამედ გაერთიანება ძველი რუსეთი თავის ძველ ფარგლებში, ვ თუმცა დემოკრატიის სახელით ჰსურთ მოგვთხოვონ ჩვენ სახელმწიფოებრივი აპარატის დარღვევა და რუსეთის მშფოთვარე ზღვის მღვრიე ტალღებში გადაშვება.

ისინი განზრახ ურევენ ერთმანეთში რუსეთის დემოკრატიას და რუსეთის სახელმწიფოს. და პირველის სახელით მეორეს გვაჩეჩებენ ხელში.

ისინი ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ პირველი მიჩქმალულია მეორე კი ისეთ ქაოსს წარმოადგენს, და ისეთ შავ კბილებს იჩენს, რომ მასთან შეერთება, მათი სიტყვითაც კი, დასამარება იქნებოდა დემოკრატიის.

ერთი ესეც უნდა ვიკითხოთ, რა შუაშია მარქსიზმის სოციალიზმი! და ინტერნაციონალიზმის ხსენება იქ, სადაც კითხვა მხოლოდ რუსეთის საზღვრების აღდგენას ეხება?

მუშათა კლასისთვის საჭიროა დემოკრატიული წყობილება, როგორც გზა სოციალიზმისკენ, და არა მაინცამაინც ყველა ერების ერთ სახელმწიფოს ფარგლებში მომწყვდევა. პირიქით ერთა თავისუფლება—ეს მუდმივი ლოზუნგი იყო საერთაშორისო დემოკრატიის.

ჩვენ ამ საგანზე იმიტომ შევჩერდით, რომ სამწუხაროთ ჩვენი ამხანაგები ებრძვიან საქართველოს ს. დ. პარტიის დაარსებას იმისთვის, რომ არ სურთ იყოს დამოუკიდებელი საქართველო. არა დემოკრატიულ და არა პროლეტარულ პოლიტიკურ მიზანს უმორჩილებენ მუშათა პარტიის კლასობრივ საკითხებს. კიდევ მეტი იმავე ლტოლვილებას იჩენენ, რომელსაც დენიკინები უფრო მკვახეთ და იარაღის ჩხარუნით გვაუწყებს და რომლის იმპერიალისტურ და რეაქციონურ ზრახვაში ეჭვი არავის შესდის.

ჩვენი ამხანაგები ამ ზრახვებს დემოკრატიულ ფრაზეოლოგიაში ხვევენ, მაგრამ განა ეს შესცვლის არსებითათ მათი მისწრაფების ნამდვილ მნიშვნელობას?

მათ რომ მართლა დემოკრატიზმი და მუშათა ინტერესები ქონდეთ სახეში და ამ ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, საქართველოს ს.-დ. ყოველმხრივ მხარს დაუჭერდნენ და გარეშე თუ შინაურ საფრთხისაგან თავის დაცვაში დაეხმარებოდნენ. მაშინ ისინი ამ დემოკრატიის ჭირსა და ლხინს თავის ჭირათ და ლხინათ მიიჩნევდნენ.

და თუ ამას ადგილი არა აქვს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სოციალიზმის მაღალ დროშის ნაცვლად მათ ხელთ აიღეს დროშა რუსეთის ძველ ფარგლებში გაერთიანების ე. ი. თვითმპყრობელობის ყველა ნამუშევარის რუსეთისათვის შერჩენის, რაიცა თავისთავად ატარებს თავის წიაღში იმპერიალისტურ ტენდენციებს.

ჩვენ ვამბობთ, რომ სამწუხაროთ მხოლოდ ეს გარეშე მიზეზები და საბუთები ალაშქრებს ჩვენს ზოგიერთ პროტესტანტებს საქართველოს სოც.-დემ. წინააღმდეგ თორემ აბა სცადონ და გამოილაშქრონ იმ პრინციპების წინააღმდეგ რომელიც ჩვენ მივიღეთ ყრილობაზე, და რომელიც პირდაპირ გაგრძელებაა რუსეთის ს.-დემოკრატიის ტრადიციების. აბა დაგვანახვონ, რომელი საკითხის გადაჭრაში ვუღალატეთ, ჩვენ ნაცად გზას და მარქსისტულ მეთოდს.

მათ თვითონაც კარგათ იციან, რომ ამ მხრივ ნაკლზე ვერ მიგვითითებენ. მაშასადამე ვერ გვიკიჟინებენ სწორ გზიდან გადახვევას. და ეს კიდევ ერთი, დაუძლეველი საბუთია იმის, რომ წვრილმანი ინტელიგენტური გულღვარძლიანობა უფრო ამუშავებს მათ კალამს, ვინემ შეგნება თავის სოციალისტურ მოვალეობისა. იმედათ ის გვაქვს, რომ მასსა, დემოკრატია, რომელიც მთავარი სიმაგრე და ხერხემალი იყო ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობის, დღესაც მთლიანად დგას ბრძოლის ველზე ჩვენთან და ამ გათიშულ ჯგუფის განაწყენებული გულის მოსაოხათ გამოცხობილ პროტესტებს მხოლოდ იმდენ ყურადღებას აქცევს, რამდენისაც ღირსია უსუსურობა და ულოგიკობა თვით პროტესტისა.

მუშათა კლასის ამ საღ ინსტიკტსა და პოლიტიკურ შეგნებაში ვიკრებთ ჩვენ ძალას მომავალ მოქმედებისათვის.

## პ რ ე ს ა

გაზეთ „საქართველოში“ ბ. ჩ. ინგილო უბრუნდება საკითხს სამღვთო სჯულის გაუქმების შესახებ.

„თუ სახელმწიფოს ცხოვრების რომელიმე მხარეში წინადახედულება და უაღრესი სიფრთხილე გვმართებს, სარწმუნოების სფეროში რეფორმების გატარება აუცილებლათ მოითხოვს საკითხის მრავალ მხრივ გამოკვლევასა და ამოწურვას, რომ არ დავაკანონოთ ერისათვის მიუღებელი და განხეთქილების გამომწვევი რეფორმა.

ერთობ ძნელია იმისი თქმა, ვითომც ქართველი ხალხისთვის რელიგია დრო მოჭმული მცნებაა, რომელსაც ის, ასე ვსთქვათ, ინერციით მისდევს, სრულიად შეუგნებლად და ანგარიშ მიუცემლად. სარწმუნოების უნიადაგობაზე საქართველოს ხალხში მხოლოდ საქართველოს ყოფა ცხოვრების უცოდინარი იტყვის.

ამაში „ერთობის“ პუბლიცისტიც დაგვეთანხმება: აღიარება იმისი, რომ სამღვთო სჯულის სკოლიდან განდევნას გადაეღობებიან „მხოლო აშკარა რეაქციონერები და გლეხები“, როგორც „ერთობა“ გვაუწყებს,—ჩვენის აზრით მჭერმეტყველურად ამტკიცებს, რომ პარლამენტისაგან მიღებულ კანონს არ შეიწყნარებს ქართველი ერი, 90 პროცენტით გლეხობისაგან შემდგენილი.

ვერც ისტორიული მაგალითები დაგვაჯერებს ხსენებულ კანონპროექტის ღირსებაში: ამერიკაზე და საფრანგეთზე მითითება ხომ პირდაპირ იმისი გამომხატველია, რომ კანონის მიღება აჩქარებით მოხდა.

ჩვენ გვარწმუნებდნენ პარლამენტში, რომ საქართველო მაინცდამაინც არ არის აზია, ხოლო იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ სამშობლოსა და ინგლისს, ან ამერიკის შორის დიდი მსგავსებაა არავითარი საბუთი არ უთქვამთ.

საქართველოს ხალხის ნამდვილი მცოდნე და მეთვალყურენი იმ აზრისანი არიან, რომ მცხოვრებთა უდიდესი ნაწილისათვის ეს კანონი მიუღებელია და მავნე და სწორედ ამ მოსაზრებით ჩვენი საპარლამენტო ფრაქცია უარსჰყოფდა სოციალისტურ ნაწილის კანონ-პროექტს“.

კიდევ ერთხელ გავახსენებთ ბ. ინგილოს, რომ არც ჩვენს გაზეთს და არც ს.-დ. საპარლამენტო ფრაქციას საკითხი ისე არ დაუყენებია, როგორც მას აყენებს ბ. ინგილო: ჩვენ არც ერთხელ არ გვითქვამს, რომ სარწმუნოებას ხალხში აღარა აქვს ფესვები. ჩვენ იმას ვამბობდით მხოლოდ, რომ რაც უფრო მაგრა აქვს სარწმუნოებას გადგმული ფესვები, მით უფრო საჭიროა მისი განშორება სახელმწიფოსაგან და, როგორც ამ განშორების ერთი გამოხატულება, სამღვთო სჯულის სწავლების მოსპობა სკოლებში. თუ კი სარწმუნოება ძლიერია ხალხში, რაღა საჭიროა მისი ხელოვნურათ გაძლიერება სახელმწიფოს მიერ? თუ კი სარწმუნოება ისე ძლიერია ხალხში, როგორც ამას ამტკიცებენ ნაც. დემოკრატები, მაშ რაღათ აღონებს მათ საღვთო სჯულის სწავლების მოსპობა? ძლიერი სარწმუნოება, სახელმწიფოს ოპეკისაგან განთავისუფლებული, უფრო გაიწმინდება ყველა იმ მიწიერ მხარეებისაგან, რომლითაც სახელმწიფო ჩრდილავდა მას. მაშ რაღასი გეშინიანთ? რაც უფრო ძლიერია სარწმუნოება, მით უკეთესათ მოაწყობთ ბავშვების აღზრდას სარწმუნოებრივ ნიადაგზე სახელმწიფოს დაუხმარებლათ?

ჩვენი წერილიდან ამოწერილი ფრაზა: სამღვთო სჯულის სწავლების გაუქმებას წინ ეღობებიან „აშკარა რეაქციონერები და გლეხებიო“,—ეს გახლავთ კორექტურული შეცდომა, უკვე გასწორებული ჩვენს გაზეთში. სიტყვა „გლეხების“ მაგივრათ უნდა ყოფილიყო „კლერიკალები“. ჩვენ კორექტურა არ გვივარგა, მაგრამ კორექტურის სიკარგეს ვერც გაზ. „საქართველო“ დაიტრაბახებს. და ამ კორექტურულ შეცდომაზე რაიმე დასკვნის აშენება ამტკიცებს, რომ გაზ. „საქართველოს“ თანამშრომელნი აზრის მიხვედრაშიც ვერ არიან ძლიერნი.

* * *

გაზ. „აშხატავორი“ შემდეგს სწერს საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის დაარსების გამო:

„ბოლოს მაინც ცბიერებმა და პოლიტიკურმა ტარტიუფებმა ნიღაბები ჩამოიხსნეს. საზღვარი დაედო ამ სოციალურ ფარისევლობას და „ინტერნაციონალის“ თამაშს, რომელსაც ერქვა „რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტია“, საზღვარი დაედო აგრეთვე მენშევიკების სხვის შემჭმელ პოლიტიკას.

ქართველ სოციალდემოკრატების ინიციატივით განცალკევდა და დაიშალა ის, რასაც ერქვა რუსეთის ს.-დ. მ. პარტია...

ამით ეს პარტია შეიქნა, ის რაც იყო მანამდის ე. ი. წმინდა ქართულ ნაციონალურ ორგანიზაციათ. წინათ ეს პარტია იყო ცოტათ თუ ბევრად დემოკრატიული, ესლა კი ეს პარტია არის წვრილი ბურჟუაზიული და მეშჩანური.

ის სულ ერთიან ნაციონალისტურია... პარტია გადატაკებულ თავადების და უმიწო გლეხების უსათუოდ უნდა გამხდარიყო ქართულ ნაციონალურ პარტიათ და ტყუილად იკეთებდა „პროლეტარულ და ინტერნაციონალურ ფრთებს“.

ამით ის მხოლოდ ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებდა...

ჩვენ გვიან ვიგრძნობთ ამ პარტიის ნიღაბის ჩამოხსნას. ჩვენ მხარეში ამ ტარტიუფ პარტიის დამხობის შემდეგ დამყარდება ნამდვილი სოლიდარული და ჭეშმარიტი საერთო ეროვნული განწყობილება“.

ამნაირათ საქართველოს საზღვრებში მოთავსება სოც.-დემოკრატიულ პარტიისა ნიშნავს მის გადაქცევას „მეშჩანურ“, „წვრილ-ბურჟუაზიულ“ პარტიათ; იგი გახდა სულ ერთიან ნაციონალისტური; იგი გახდა „ქართული ნაციონალური“ პარტია და ტყუილად იკეთებდა „პროლეტარულ“ და „ინტერნაციონალურ“ ფრთებს.

ვინ გვიკიჟინებს ყველა იმას? პუბლიცისტები „დაშნაკცუთიუნისა“, იმ პარტიის, რომელიც თავიდანვე იყო ნაციონალური პარტია. თუ მართლა ყველა ის, რასაც „აშხატავორი“ სწერს საქართ. სოც.-დემოკრატიული პარტიის დაარსების გამო, თუ ამ „გამოყოფას“ დაშნაკელების გაზეთი სწორეთ აფასებს, რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ მისი სიტყვებიდან? ერთად ერთი ის, რომ თვით „დაშნაკცუტიუნი“, რომელიც ყოველთვის ნაციონალური პარტია იყო, ყოფილა „მეშჩანური“, „წვრილ ბურჟუაზიული“ რომ იგი „ტყუილათ იკეთებდა „პროლეტარულს“ და „ინტერნაციონალისტურ“ ფრთებს“. მას ნიღაბიც კი არ უნდა დასჭირებოდა, იგი თავიდანვე ყოფილა მატარებელი იმ შოვინიზმისა, რომელსაც დღეს უკიჟინებს სოც.-დემოკრატიას, მარტო იმიტომ, რომ იგი, მათი აზრით, „დაშნაკცუტიუნივით“ ნაციონალურ პარტიათ გადიქცა. ასეთია პირდაპირი ლოღიკური დასკვნა „აშხატავორის“ სიტყვებიდან.

მაგრამ ის, რასაც „აშხატავორი“ ამბობს საქართველოს სოც. დემ. პარტიაზე, მის მსგავსებაზე „დაშნაკციუტუნთან“ რასაკვირველია, არ არის მართალი: საქართველოს სოც.-დ. პარტია არის ტერიტორიალური პარტია საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მოთავსებული, იგი ნაციონალური პარტია არ არის, იგი ყველა ეროვნების მუშათა პარტიაა და, მაშასადამე, რჩება ინტერნაციონალურ ორგანიზაციათ, როგორიც წინათ იყო. „დაშნაკციუტუნის“ აგებულობისაგან მისი აგებულობა ისევ ისე განსხვავდება, როგორც წინათ.

„აშხატავორმა“ მოინდომა სოციალდემოკრატიულ პარტიის შესახებ ტყუილი ეთქვა, მაგრამ უნებურათ სიმართლე სთქვა „დაშნაკცუტიუნის“ შესახებ. ვინც სხვას უთხრის ორმოს, თითონვე შიგ ჩავარდება.

## მერვე ყრილობა

### ს.-დ. მ. პარტიის წარმომადგენელთა.

17 ნოემბერი.

(საღამოს სხდომა).

**ადგილობრივი თვითმართველობა და მმართველობა.**

მოხსენებას აკეთებს ალ. ლომთათიძე.

ალ. ლომთათიძე. ჩვენ მიერ გასარჩევი საგანი არის საკითხი ადგილობრივი თვითმართველობის და მმართველობის შესახებ. ამ საკითხს ჩვენში მოკლე ისტორია აქვს. ადგილობრივი საქმეების აშენების ბრძოლის დროს ჩვენ ერთი პრინციპი გვაქვს—დემოკრატიული ცენტრალიზმი. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ რაკი დღეს ყველაფერი დემოკრატიის ხელშია—ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ შეიძლება ცენტრს საკუთრებელი შეუმოკლდეს და ადგილობრივი საქმეები გადაეცემოდეს ადგილობრივ თვითმართველობის ხელში. მაგალითს მოვიყვან: განათლების სამინისტრომ პარლამენტში შემოიტანა წინადადება, რომ განათლების სამინისტრო უნდა იყოს მთავარი ხელმძღვანელი და გამგე სკოლისათ. მაგრამ რაკი ერობა გვაქვს, ჩვენ გვფიქრობთ, რომ სახალხო განათლება, ყოველი ტიპის სკოლებიც უნდა გადაეცეს ადგილობრივი თვითმართველობის ხელში. ჩვენ იქ აღმოვჩნდით დეცენტრალისტები და პირიქით, ს.-ფედერალისტები, რომლებიც პირველ აზრს იცავდნენ, ცენტრალისტები აღმოჩნდნენ. აქ სთქვეს, რომ ჩვენი ქვეყანა პატარა ქვეყანაა და შეიძლება ერთი თვითმართველი ერთეული იყოსო. შეიძლება ერთი არ იყოს, მაგრამ ცენტრს დიდი საქმეები უნდა ჰქონდეს სიკეთებელი, მის ხელში უნდა იყოს საერთო ხელმძღვანელობა, ყველა პრაქტიკული ადგილობრივი ხასიათის კითხვები შევა ადგილობრივ თვითმართველობათა კომპეტენციაში.

რანაირია დღეს სოფლებში მდგომარეობა? მთელი [illegible] განმგებლობაში მთელი ცდა მთავრობისა, იმაში გამოიხატა, რომ ჩქარა მოეწყო ხეირიანი ადმინისტრატიული აპარატი, მაგრამ ადმინისტრაცია სანახევროდ დღეს მაინც ქაღალდზეა, შეიძლება ჩვენი ქვეყნის ყველა მხარეში ეს ასე არაა, მაგრამ უმეტესად პროვინციებში ადმინისტრაცია არ ვარგა. ამის მიზეზი, რასაკვირველია მრავალია, მაგრამ ერთი მიზეზი ისიცაა, რომ აქამდე ადგილობრივი თვითმართველობანი ვერაა თავის სიმაღლეზე დაყენებული და მოწყობილი, და ამიტომ იგინი ადმინისტრაციას, მილიციას და სხვ. ვერ აძლევენ სათანადოთ თვალ-ყურს. ავიღოთ თუნდა საექიმო საქმე. ახლად გავრცელებული ავადმყოფობა მუსრს ავლებს ხალხს, მაგრამ საჭირო წამალი და ექიმობა არ სჩანს. ხშირად გაიგონებთ, რომ მზადა ვართ დავეხმაროთ მთავრობას, მაგრამ ზომებს ვერა ვხედავთო. არც სასამართლოა ჯერ მოწყობილი. ამ მხრივ უფრო აწეწილია საქმე. თუმცა კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა შესახებ მივიღეთ, მაგრამ ეს ცოტაა. თქვენ ალბად გახსოვთ რა განგაში იყო ერთი ბანაკის პრესაში: სოციალისტურმა მთავრობამ თავისი პრინციპები გადალახა და ადგილობრივ თვითმმართველობებს წაართვა უფლებებიო; ჩაერია ადმინისტრაციაში და სხვაო. მართალია ეს თუ არა? რასაკვირველია პრინციპად ვერ მივიღებთ, რომ ცენტრალურმა მთავრობამ თავისთვის გამოიყენოს ადგილობრივი თვითმართველობის მილიცია. ამაში იძულებული იყო მთავრობა ასე მოქცეულიყო. ამის მიზეზი ისაა, რომ ეხლა ჩვენ არანორმალურ პირობებში ვიმყოფებით. ჩვენ ორ ხანაში ვართ: რევოლიუციონურსა და აღმშენებლო მუშაობაში და ამ დროს აუცილებელი ხდება, რომ ცენტრალური მთავრობა ჩაერიოს ისეთ საქმეებში და ისეთი ნაბიჯები გადადგას, რომელთაც ნორმალურ დროს არ გადასდგამდა პრინციპიალურად კი გადაჭრით უნდა ვაღიაროთ: ცენტრი არის ორგანო, რომელიც უწევს კონტროლს ადგილობრივ თვითმართველობებს. რაკი მთელი რიგი ფუნქციებისა ჩამოერთმევა ცენტრალურ მთავრობას, მას აღარ ექნება იმდენი საქმე, რამდენიც ეხლა აქვს. მოვა დრო, როდესაც მაგ. მთელი სასკოლო საქმე გადავა ადგილობრივ თვითმართველობის ხელში, რაღა დარჩება მაშინ? უმაღლესი სასწავლებელი არის ავტონომიური ერთეული. საშუალო სხვადასხვა სასწავლებლები და პირველდაწყებითი სასწავლებლები შეიძლება გადავიდეს ადგილობრივ თვითმართველობათა ხელში. მაშინ განათლების სამინისტროს მაგიერ საკმარისი იქნება პატარა კოლეგია, რომელიც კონტროლს და ზოგად ხელმძღვანელობას გაუწევს ამ საქმეს. ავიღოთ მეორე უწყება: გზათა სამინისტრო თუ მის საშუალებანი ადგილობრივ თვითმართველობების ხელში იქნება მას ცოტა-ღა დარჩება. აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს ბევრი საქმეები გადავა თვითმართველობების ხელში, მაშინ ამ ცენტრალურ ორგანოსაც იმდენი ფუნქციების ასრულება, ხარჯი—შტატი არ დასჭირდება, რამდენიც დღეს საჭიროა. მაშასადამე ჩვენი პირველი დებულება ასეთი უნდა იყვეს: ნაკლები ტვირთი ცენტრს, გადატანა ასეთების პროვინციებში და განაწილება თვითმართველობებში. ერობა ჯერ სულ არ მოწყობილა, თუმცა საქალაქო თვითმართველობანი მოქმედებენ. არ ვიცი რამდენ ერთეულად დაიყოფა იგი. ერთი კი აშკარაა—სამაზრო. საგუბერნიო ერთეული ალბად აღარ იქნება საჭირო. ამის გარდა სამაზროს შესწორება დასჭირდება. ზოგი მაზრა უნდა დაიყოს, მაგ. გორისა, რადგანაც მასში ისეთი ნაწილებია, რომელთაც ეკონომიურად სხვადასხვა მაზრებისკენ ლტოლვა აქვთ. მცირე ერთეულად მიჩნეული იქნება სასოფლო საზოგადოება, მაგრამ თუ რა უნდა იყვეს მცირე ერთეულად, მეტად სერიოზული კითხვაა. ამაზე, სასოფლო საზოგადოება, მცირე არ შეიძლება, უპირველესად ყოვლისა ფინანსიურის მოსაზრებით. [illegible] რომ ამას წინად ქალაქთა ყრილობა იყო, გადასწყდა, რომ ერობების მოწყობისათანავე მოეწყოს მათი კავშირი, მსგავსად ქალაქთა კავშირისა, მერე ეს ორი კავშირიც შეკავშირდება და ასე შესაძლებელი იქნე-

ბა აწეწილი და დაავადებული ცხოვრება დალაგდეს. მაგრამ რა წყაროებით და საშუალებებით შესძლებენ ეს ორგანოები ამ საქმეებს გაუძლონ? ამ საკითხის [illegible] ამოწურვა შეუძლებელია, მაგრამ ერთი დიდი წყარო აშკარაა. უკვე [illegible] შემუშავებულია თუ რა დაუშრეტელი წყაროა თეთრი ნახშირი. ჩვენ წყლებს შეუძლია გაანათოს სამჯერ მეტი ტერიტორია, ვიდრე საქართველოა. ამ მხრივ გადიდდება ნაბიჯები და მარტო ამ წყლებმა შეიძლება უზრუნველჰყონ ნივთიერად ერობები. კიდევ სხვა წყაროები გამოჩნდება, მაგ., გადასახადები და სხვ., ასე რომ არც ისე უიმედო არის მდგომარეობა ერობისა. მთავრობაც ვალდებულია გადასცეს ერობას არა თუ ფუნქციები, არამედ თანხაც და გაუწიოს ყოველმხრივი დახმარება. ციდან არაფერი ჩამოვარდნილა და ერობის თანდათან მოღვაწეობაში დავრწმუნდებით, რომ მას მართლაც დასაუკეთესო მომავალი მოელის. მოხსენების შემდეგ იმართება მცირე კამათი.

ი. სალაყაია. სახელმწიფო რთული ორგანიზმია. ფუნქციათა ნაწილი ცენტრიდან აუცილებლათ უნდა გადავიდეს პერიფერიებში. შვეციაში 89 პროც. სახელმწიფო შემოსავლისა ადგილობრივ თვითმართველობებში შედის. ერობა გაადვილებს ცენტრის საქმეს. მაგრამ ერთი მხარეა—ფინანსიური, რომელშიც მეტად სუსტია ჩვენი თვითმართველობანი. მთავრობასაც ბიუჯეტი არ აქვს შედგენილი. ჩვენ ფული უნდა ვიშოვოთ. ტეხნიკურად ძნელია მისი აღება თუ წვრილი ერთეული არ იქნა. მთავრობის პროექტით რაიონი იქნება აღებული [illegible] ერთეულად. ამას დეფექტები [illegible] და ეს ფინანსიურ მხარეს ვერ [illegible]ქსრიგებს ჩვენ უნდა მივბაძოთ ევ[illegible]ას, რომელსაც ამ მხრივ დიდი გამოცდილება აქვს, რაც უფრო წვრილი ერთეულები იქნება, მით უკეთესი: შვეიცარიას 3 ათასი წვრილი ერთეული აქვს, ინგლისს 13 ათასი და სხ. სახელმწიფოსთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ თვითმართველობას: ამის მაგალითი საფრანგეთი და შვეიცარია არის. პირველში ნაკლებადაა ისინი და იგი წარმოადგენს ბიუროკრატიულ ცენტრალისტურ სახელმწიფოს, მეორეში კი დემოკრატიას ეძლევა მეტი გასაქანი. ჩვენ ამ უკანასკნელს უნდა მივბაძოთ. დემოკრატია ძლიერი იქნება მაშინ. ერობა ჩვენში ეხლა იწყება უსათუოდ მას უნდა გადაეცეს ზოგიერთი ფუნქციები ცენტრისა თუ გვინდა, რომ დემოკრატია განმტკიცდეს.

გრ. ურატაძე ამბობს, რომ ამ საკითხს ორი მხარე აქვს: თეორიული და პრაქტიკული. იგი ეხება პრაქტიკულს და ამტკიცებს, რომ ჩვენი თვითმართველობანი კრიზისს განიცდიან და საჭიროა მთავრობამ ფინანსიური დახმარება გაუწიოს მათ.

მომხსენებელი დასასრულ სიტყვაში ზოგიერთ მუხლებში ეთანხმება მათ და დასკვნას უკეთებს წინა ნალაპარაკევს. კამათი შესწყდა. რეზოლიუციის გამომუშავება გადაეცა კომისიას.

# სოციალური და სოციალისტური რევოლიუცია

თუ მივიღებთ მხედველობაში გერმანიის რევოლიუციის მიდრეკილებას, იმ ცნობებს, რომ საფრანგეთში და იტალიაშიაც შეიჭრა რევოლიუცია გერმანიის რევოლიუციის სახით, და ამგვარად თითქმის მთელი კონტინენტალური ევროპა [illegible] რევოლიუციურ ალში და უეჭველია ინგლისსაც არ ასცდება იგივე ბედი, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობა იწყებს ახალ ხანას, რომელსაც შეგვიძლია სოციალური რევოლიუციათა ეპოქა ვუწოდოთ. სხვათა შორის ბევრი ვერ არჩევს სოციალურ რევოლიუციას სოციალისტურისაგან. გონიათ ერთი და იგივეა. ერთნი უშვებენ ტერმინოლოგიურ შეცდომას, მეორენი არსებითად არ ხედვენ მათ შუა განსხვავებას, როგორც მაგალ. სახელგანთქმული ბოლშევიკები რუსეთში, სადაც მოხდარი ტიპიური სოციალური რევოლიუცია მათ გამოაცხადეს სოციალისტურ მოძრაობათ და მილეწ მოლეწეს რუსეთი, მიანგრ-მოანგრიეს საწარმოო ძალები და საშინელ უფსკრულში გადუშვეს მთელი რუსეთი.

ახლაც, იგივე ბოლშევიკებს და ზოგიერთებს მათთან ერთად ჰგონიათ, რომ დღეს გერმანიაში იწყება სოციალისტური მოძრაობა. ასეთი წარმოდგენა და შეხედულება დიდ შეცდომათ ჩაითვლება, რადგან ამ შეცდომას მისდევს მავნე ტაქტიკა, რომლის მოწამენი გავხდით ბოლშევიკურ რუსეთში. ამიტომ ზედმეტათ არ მიგვაჩნია შევჩერდეთ და მოკლეთ გამოვარკვიოთ ის, თუ რა არის სოციალური და სოციალისტური რევოლიუცია.

ქ. კაუცკი ერთ-ერთ თავის ნაწერში, [illegible] არ გულისხმობს, „სო[illegible]ური რევოლიუცია და მეორე [illegible]“ გაფრთხილებს და გვირკვევს [illegible]ვავებას, რომელიც არსებობს სოციალური და სოციალისტური რევოლიუციის შუა: კლასიკური მაგალითს სოციალური რევოლიუციისა, ამბობს კაუცკი, წარმოადგენს საფრანგეთის დიდ რევოლიუციას (1789 წ.). ამ რევოლიუციამ მოახდინა არა მარტო ძირითადი ცვლილება საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრებაში, არამედ შეანგრია ეკონომიური წესწყობილება, ფეოდალიზმი, რომელზედ დაყრდნობილი იყო აბსოლიუტიზმი. მიუხედავათ ამ ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიური ცვლილებისა საფრანგეთში, იქ ინსტიტუტი კერძო საკუთრებისა მაინც დარჩა, მხოლოდ ფეოდალური ფორმა საკუთრებისა შეიცვალა წვრილი ბურჟუაზიული ფორმით.

ასე მოხდა რუსეთში, ასე მოხდა ჩვენში, სადაც (საქართველოში) სოციალურმა რევოლიუციამ მიიღო ნამდვილი მკაფიო და ნათელი ხასიათი, ლოღიკური დასკვნა: ძირიან-ფესვიანათ აღმოიფხვრა ფეოდალიზმი და მისი ნაშთები, მაგრამ მიწის საკუთრება, როგორც ასეთი, არ გაუქმებულა, მხოლოდ მესაკუთრე—ფეოდალის ადგილი დაიჭირა მშრომელ წვრილ მესაკუთრე გლეხმა, რომელიც შედარებით კონსერვატორ-ფეოდალიან წარმოადგენს პროგრესიულ მოვლენას სასოფლო მეურნეობაში. ქალაქებში ხომ სოციალური რევოლიუცია არ შეხებია კერძო საკუთრებას, საწარმოო იარაღებს, ქარხნებს, ფაბრიკებს, მაშინებს,—სახლებს და სხვა. ამ გვარად რითაც გინდ დამთავრდეს სოციალური რევოლიუცია, კერძო საკუთრება ამა თუ იმ ფორმის, სახით მაინც რჩება, მაშინ, როდესაც სოციალისტური რევოლიუცია ბოლოვდება სრული მოსპობით კერძო საკუთრებისა. როგორც სოფლათ ისე ქალაქში ხდება განსაზოგადოებრივობა საწარმოო იარაღების: მიწის, ქარხნების, ზავოდების და სხვა. აი ის ერთი ძირითადი განსხვავება, რომელიც არსებობს სოციალური და სოციალისტური რევოლიუციას შუა.

არის მეორე განსხვავება. სოციალური რევოლიუცია შეიძლება მოხდეს, დამთავრდეს კიდევაც გამარჯვებით რომელიმე სახელმწიფოში, თუნდაც რომ მისი მეზობელ ქვეყნებში არსებობდეს ისევ ფეოდალური წესწყობილება. მაგ. საფრანგეთში სოციალურ რევოლიუციამ გაიმარჯვა, მიუხედავათ იმისა, რომ ავსტრია-გერმანიაში და რუსეთში მძვინვარებდა აბსოლიუტიზმი. საქართველოში სოციალური რევოლიუციის შედეგები მთლად დაკანონდა მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ მეზობელ ადერბეიჯანში და სომხეთში ფეოდალიზმი ხელშეუხებელია, სოციალისტური რევოლიუცია კი, თუნდაც რომ მოხდეს იგი იმ ქვეყანაში, სადაც კაპიტალისტური წარმოება მიღწეულია უმაღლეს წერტილამდე, ობიექტიური პირობები მომწიფებულია სოციალისტური წესწყობილების დასამყარებლად, როგორც მაგ. გერმანიაში, მაინც ვერ გაიმარჯვებს, დამარცხდება, თუ სხვა სახელმწიფოები მასთან ეკონომიურად გადახლართული სდგანან ჯერ ისევ დაბალ საფეხურზე საწარმოო ძალთა განვითარებისა. ასე ამბობდა მარქსი. მართლადაც ქვეყნები, სადაც საწარმოო ურთიერთობა სუსტია, მხოლოდ გრძნობა კერძო საკუთრებისა ძლიერი, ყოველთვის შეადგენენ რეაქციონურ ძალას. წინააღმდეგ იმ სახელმწიფოსი, სადაც იფეთქებს სოციალისტური რევოლიუცია, მიმართული კერძო საკუთრების სრული გაუქმებისაკენ და შეეცდებიან ცეცხლით და მახვილით ჩაახრჩონ სისხლის მორევში წითელი საფრთხე.

როგორც უკვე ვსთქვით, სოციალური რევოლიუცია შეადგენს ერთგვარ შესავალს სოციალური რევოლიუციის ხანაში, იმასთან კი არ ხდება ის სწრაფათ, შეუმჩნევლად კი არ გადადის ერთი რევოლიუცია მეორეში, პირიქით, როგორც ამბობს კაუცკი, სოციალური რევოლიუცია გრძელდება ათეულ წლობით.

ამასთან თუ სოციალური რევოლიუცია ერთი ქვეყნისა არ მოედო სხვა სახელმწიფოებს, ნიადაგი სოციალისტურ რევოლიუციებისთვის არც იქნება მომზადებული.

ამიტომ ჯერ ნაადრევია იმის თქმა, რომ გერმანიაში დაწყებული რევოლიუცია უკვე იღებს სახეს სოციალისტურ რევოლიუციისას, თუ მივიღებთ მხედველობაში კაუცკის ნათქვამს, რომ სოციალიზმს ჩვენ მოველით ამერიკიდანო· უკანასკნელი სიტყვა მას ეკუთვნისო, აშკარაა, რომ დღევანდელ ფაზისში ჩვენ გვაქვს საქმე გერმანიაში სოციალურ რევოლიუციასთან, როგორიც მოხდა რუსეთში, საქართველოში და სოციალისტურ რევოლიუციამდე კიდევ საკმაო მანძილი რჩება სავლელათ.

ქ. კახელი.

# ერთი მისალმების გამო

გაზ. „ერთობის“ 250 ნომერში, ს. დ. მერვე ყრილობის ანგარიშში მკითხველი წაიკითხავდა შემდეგს: „ყრილობა სალამს უძღვნის საქართველოს რესპუბლიკის ჯარს. ყრილობას სწამს, რომ ახალგაზრდა ჯარი პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას და მტკიცეთ დაიცავს დემოკრატიულ წესწყობილებას და ჩვენ დამოუკიდებლობას შინაურ და გარეშე მტრისაგან“.

ს. დემოკრატიული ყრილობა ესალმება რესპუბლიკის რეგულიარულ ჯარს. ეს არ არის მარტო გამხნევების სურვილზე დამყარებული ფრაზა, ესაა კუთვნილებისამებრ საზღვარის მიწყევა, უკვე დამსახურებულის აღნიშვნა. ეს ბუნებრივი იყო მოხსენების მოსმენის შემდეგ. ეს ბუნებრივია ყველა იმისთვის, ვინც ასე თუ ისე იცნობს ჩვენი ჯარის როლს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვაში.

ჩვენი თავისუფლების შენარჩუნება კი არა, ჩვენი ფიზიკური არსებობაც სასწორზე იდვა, შეიძლება სრულიად გავნადგურებულიყავით, რომ ერთი წლის წინად ქართველ დემოკრატიას სახელდახელოთ არ შეექმნა ჩვენი სახელოვანი წითელი გვარდია. გვარდიამ იხსნა ჩვენი ქალაქები ე. წ. „ეშელონებისაგან“, გვარდიამ დაიცვა ჩვენი ხალხი შავბნელ ელემენტთა გაბატონებისაგან, გვარდიამ პირველმა შეუტია გარეშე მტერსაც.

მაგრამ ექვსი თვის შემდეგ, ზაფხულში ისეთი მწვავე ბრძოლა დაიწყეს შინაურმა და გარეშე მტრებმა, ისე შეთანხმებულათ მოქმედებდნენ შერვაშიძის ასკერები, ბოლშევიკების ბრბოები, რუსი რეაქციონერი ოფიცრები, ყაჩაღები, ქურდ-ბაცაცები და სხვადასხვა მტრები, ისე გააფართოვეს მათ თავის მოქმედება სერიოჟა ქავთარაძეების და შერვაშიძის შემოტანილი მილიონებით, იმდენი ფრონტი გაუჩინეს ახლად დაბადებულ დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომ მარტო გვარდია ამ ომი ან გამარჯვებული ვეღარ გამოვიდოდა, რომ მას არ მისწრებოდა რეგულიარული ჯარი, რომ მას ყველა ფრონტზე მხარში არ ამოსდგომოდა რესპუბლიკის მოზარდი ჯარის ნაწილები. მაშასადამე ჯარმა იხსნა დემოკრატიული რესპუბლიკა.

ეს ვიცით ყველაზე უფრო ჩვენ, გვარდიაში მომუშავეებმა და სისიამოვნო იყო, როცა მთავარ შტაბში გამართულ წინასწარ თათბირზე ამას აღნიშნავდნენ გვარდიის მთავარი ხელმძღვანელები, ამას ხაზს უსვამდნენ ყველა დამსწრე გვარდიელები.

ერთი რამ არის ხაზ გასასმელი და მუდამ დასამახსოვრებელი: როცა ჯარზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიცოდეთ, რომ საქმე გვაქვს ახალ ჯართან, რომელიც ძველ ჯართან ბრძოლაში შევქმენით. ანუ უკეთ ვთქვათ, საძირკველი ჩავუყარეთ. ჩვენ ვყრიდით იარაღს ნიკოლოზის სარდლობისაგან შექმნილ პოლკებს, სადაც დეზერტირები გაბატონებულიყვნენ; ჩვენ ძალით ვშლიდით ამ პოლკებს და მათ მაგიერ ვაწყობდით ახლებს, ახლად მოწვეულებისგან. ბოლოს და ბოლოს ჩვენ მივიღეთ ისეთი ნაწილები, რომელნიც მედგრათ ებრძვიან რესპუბლიკის მტრებს.

მართალია, ბევრი მუშაობაა კიდევ საჭირო, მაგრამ აქნობამდე მოყვანა უფრო ძნელი იყო, ვიდრე შემდეგი მუშაობა.

საჭიროა დავეხმაროთ სამხედრო უწყებას. საჭიროა მეტი სინათლის შეტანა ახალგაზრდა ჯარისკაცებში.

გვარდიელები იხვეწებოდენ კერძო თათბირზე: მოახერხეთ, მიეცით ჯარს თავის დროზე სასმელ-საჭმელი, ჩააცვით კარგათ, თორემ ზოგ მათგანს გონია მთავრობა მარტო ჩვენ გვეზავნის პურსო. იქვე გამოირკვა, რომ მთავრობა ერთნაირ ულუფას უგზავნის ყველას, მაგრამ ჯარის ყველა ნაწილებს ვერ მოუწყვია კარგათ სამეურნეო ნაწილი, რომ ჯარისკაცს თავის ულუფა უკლებლად და თავის დროზე მისდიოდეს.

საერთოდ გამოირკვა, რომ ერთად ბრძოლას საერთო საქმისათვის, ერთად დაღვრილ სისხლს რესპუბლიკის საკეთილდღეოთ, ჩვენი ჯარი და გვარდია დაუახლოვებია და ურთიერთის პირს თავის ჭირათაც იმჩნევენ. ეს თავდებია იმის, რომ ჩვენი ხალხის მტრების პროვოკაციას ნიადაგი მთლად დაეკარგება. ამიერიდან გვარდიას და ჯარს ვეღარ გადაჰკიდებენ ერთმანეთს. და ჩვენც სიხარულით ვამბობთ ყრილობასთან ერთად:

გაუმარჯოს დემოკრატიულ ჯარს! გაუმარჯოს სახალხო გვარდიას! გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიას!

ზ. დათიაშვილი.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

26 ნოემბერი.

ლიონი. 24 ნოემბერი. ელზას-ლოთრინგის სრული ოკუპაცია თავდება.

ჩვენი ჯარი გუშინ დაბანაკდა სარის ველზე, სახელდობრ: საარუკში, სარლუიში და აღმოსავლეთით: ვერტში, ფრომვილერში, რეისჰოფენში და ბიშვეილერში.

ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა ჰინდენბურგის დეპეშა, რომ გერმანიის ჯარს აღარ შეუძლია განაახლოს ომი საფრანგეთის ჯართან.

დ·რ ხოლეგმა გამოაქვეყნა პროტესტი სარის მარჯვენა ნაპირის დაჭერის გამო.

ბალშევიკების ცნობები.

მოსკოვი. 24 ნოემბერი. ც. ბ. ქ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. სტოკჰოლმი. 23 ნოემბერი. ბუდაპეშტში შევიდა 11,100 ფრანგი ჯარისკაცი. ინსბრუკი იტალიელებმა დაიჭირა. რუმინიის ნაციონალურმა საბჭომ მოკავშირე სახელმწიფოებს და ჩიჩერინს პროტესტით მიმართა სერბიის ჯარის ბანატში შესვლის, ამ ადგილის ძალით შემოერთების და რუმინიის სოფლის სერბიის ბრძოლებზე ძალით დაფიცების გამო. საბჭო ითხოვს გავლენა იქონიონ სერბიის მთავრობაზე, რომ მან უარი სთქვას ამ ადგილის მიტოვებაზე და მისცეს საშუალება რუმინიის მცხოვრებთ თავისი ბედი თვითონ გადასწყვიტონ. ნაუენი. 24 ნოემბ. ბერლინის საბჭოს აღმ. კომ. აცხადებს, რომ საფრანგეთის მილიტარისტები დროებითი პირობებს უყურებენ როგორც ომის გაგრძობის საშუალებას. გერმანიის მთავრობა ამის გამო იძულებული იქნება უბრძანოს ჯარს მოერიდოს საფრანგეთის ჯართან შეტაკებას, იმ შემთხვევაშიც კი როცა მოკავშირეთა ჯარი სროლას დაუწყებს გერმანელებს. საფრანგეთის გენერლები ათასგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ ნაკლი მოუძებნონ გერმანელებს ტერიტორიის დაცლის საქმეში. მოითხოვენ სამხედრო მასალის და ორთქლმავალების და ვაგონების გადაცემას. გერმანიის მთავრობამ ან უნდა გადასცეს მათ ყველაფერი ის, რასაც მოითხოვენ, და ამით კატასტროფის და შიმშილის წინ დააყენოს გერმანიის ხალხი, ან და დროებითი გადასდვას ამ მოთხოვნილებათა სისრულეში მოყვანა და ამით გერმანიის ხალხს შეუმსუბუქოს მდგომარეობა. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი ნოტით მიმართა მოკავშირეთ: „გერმანიის ხალხმა, შეერთებულ შტატების პრეზიდენტის მიერ აღიარებულ პრინციპებზე დაყრდნობილმა, სთხოვა ვილსონს შუამდგომლობა დროებითი ზავის ჩამოგდების დროს, მაგრამ დროებითი ზავის მაგიერ, ჩვენ განადგურებით დაგვემუქრენ. ვეჭვობთ, რომ დროებითი ზავის პირობებმა ზავამდე მიგვიყვანოს. ის გვაიძულებს განვაგრძოთ ომი სხვა საშუალებით. იმის მაგიერ, რომ აღვადგინოთ გერმანიაში წესიერება და სიმშვიდე და მოვახდინოთ დემობილიზაცია. დროებითი ზავის პირობები გამოიწვევს ანარქიას და ქაოსს.

მოსკოვი. 24 ნოემ. ჩვენ პროტესტებს ყურადღებას არ აქცევენ თუ დროებითი ზავის პირობებით სურთ დაუძლურონ გერმანია, რომ მას არ შეეძლოს ომის გაგრძელება. მოკავშირენი უნდა მიხვდნენ, რომ გერმანიის ხალხს სრულიადაც არ სურს და არც შეუძლია ომის გაგრძელება, გერმანიის მთავრობა ფიქრობს, რომ მოკავშირენი ხელმძღვანელობენ გერმანიის ხალხის განადგურების სურვილით. დროებითი ზავის ჩამოგდებისთანავე გერმანიის მთავრობამ ვილსონს მიმართა თხოვნით, რაც შეიძლება მალე დაიწყონ საზავო მოლაპარაკება, მაგრამ გერმანიის მთავრობას არ მიუღია. გერმანიის ხალხს დარჩენია იფიქროს, რომ მოკავშირენი ეძებენ მიზეზს განაგრძონ ომი, როცა დაქანცულ გერმანელ ჯარისკაცთაგან შეუძლებელ პირობის ასრულებას მოითხოვენ. ვილსონი ამბობს, ზავი უნდა იყოს დამყარებული უფლებაზე, ამიტომ სამშვიდობო კონფერენციამდე არ შეიძლება საზავო კითხვების გადაწყვეტა, მაგრამ გერმანიის მთავრობა აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ფრანგები ელზას-ლოთრინგში და პოლონელები აღმოსავლეთში დამოუკიდებლათ სწყვეტენ ყველა რთულ საკითხებს. გერმანიის მთავრობა პროტესტს აცხადებს საზავო მოლაპარაკების დაგვიანების გამო. დროებით შეიძლება ძალა იხმარონ გერმანიის ხალხზე, მაგრამ ის მაინც არ შესწყვეტს არსებობას და თავის უფლების დაცვას. გერმანიის მთავრობა პროტესტს აცხადებს დროებითი ზავის პირობების დარღვევის გამო, რომ მოკავშირეთა ჯარი 10 კილომ. უფრო ახლო მისდევს გერმანიის ჯარს და მოითხოვს გაანთავისუფლონ გერმანიის ჯარის დაკავებული ნაწილები. ბერლინი 23 ნოემბ. გერმანიის მთავრობა სთხოვს გადასცეს გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებს მოსკოვსა და პეტროგრადში, რომ ამ საბჭოებს იცნობენ მხოლოდ მაშინ, როცა გამოირკვევა თუ რა პირობებში შეადგინეს მათ საბჭო და რა დამოკიდებულება აქვთ ადგილობრივ და გერმანიის მთავრობასთან. ამიტომ სთხოვს რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ ბერლინში თითო დელეგატი ამ საკითხის გადასაწყვეტათ. ბერლინის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იმუშავებს გერმანიის სოციალისტურ ჯარის შექმნის პლანს, ძველი კოკარდის მაგიერ შემოღებულ იქნება წითელი კოკარდა, როგორც სოციალისტურ რესპუბლიკის ნიშანი; ჩინი და ორდენი გაუქმებული იქნება, იარაღი უნდა იტარებოდეს მხოლოდ მოვალეობის ასრულების დროს. კილის საბჭო მოითხოვს მთელი პოლიტიკური ძალა უფლების საბჭოებზე გადაცემას და მსხვილ საწარმოო დაწესებულებათა, ბანკების და მსხვილ მამულების ნაციონალიზაციას. დრეზდენის კომუნისტებმა მოუწოდა ხალხს მოახდინონ ახალი რევოლიუცია. დრეზდენის საბჭომ მიიღო რეზოლიუცია, სადაც აცხადებენ, რომ დამფუძნებელი კრება არის ავანტიურა, რომელსაც შეუძლია დაიღუპოს სოციალისტური რევოლიუცია.

მოსკოვი, 24 ნოემბ. ოფიციალურად იუწყებიან, რომ ბერლინის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, იმ საკითხების გადაჭრის დროს, რომელიც რესპუბლიკას შეეხება, შევა რეიხსტაგის წევრები. სტოკჰოლმი, 23 ნოემბერი. ინგლისის მთავრობა ადგენს პროექტს საზღვრების დაკეტის შესახებ ყველა უცხოელისთვის. გერმანელებს სრულიად არ ექნება ინგლისში შესვლის უფლება. შეთანხმების პარტიის 8 წევრმა, რომელნიც თავის თავს ინგლისის პარლამენტში რჩებიან. ადმირალმა ვიტტიმ უარი განაცხადა საბჭოთა გერმანიის წარმომადგენელთა მოლაპარაკებაზე, რადგან ირ სცნობს მათ მთავრობას.

გერმანული პრესა.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანეს: რევოლიუციამ შექმნა ახალი საკონსტიტუციო კანონები. ამ გარდამავალ ხანაში ახალი კანონმდებლობა გამოიხატა შემდეგ შეთანხმებაში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს შორის: 1) პოლიტიკური ძალა-უფლება გერმანიის სოციალისტურ რესპუბლიკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ხელშია. მათი მიზანია დაიცვან რევოლიუცია და გააღრმავონ იმდენათ, რომ კონტრ-რევოლიუცია შესაძლებელი არ იყოს; 2) ვიდრე მუშათა და ჯარისკაცთა დელეგატების საბჭოს ყრილობა არ აირჩევს რესპუბლიკის უმაღლეს აღმასრულებელ კომიტეტს, ბერლინის აღმასრულებელი კომიტეტი ასრულებს გერმანიის რესპუბლიკის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ფუნქციებს. ბერლინის და ახლომახლო არსებულ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან სრული შეთანხმებით; 3) სახალხო კომისართა საბჭოების ბერლინის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მიერ დამტკიცება ნიშნავს რესპუბლიკის აღმასრულებელი ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას; 4) რესპუბლიკის კაბინეტის წევრთა დამტკიცება, გაძევება და ნაციონალურ დამოკიდებულებათა მოწესრიგება უნდა მოახდინოს ცენტ. აღ. საბჭომ, რომელსაც აგრეთვე კონტროლის უფლება აქვს; 5) საბჭოს აზრს უნდა გაუწიონ ანგარიში სპეციალურ მინისტრების დანიშვნის დროს. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დელეგატთა ნაციონალური კრება რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს.

# ქალაქის საბჭო

25 ნოემბერი.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ხახანაშვილი მოხსენებას აკეთებს ქალაქის საბჭოს არჩევნების მომზადებულ კომისიის ოქმებიდან. ის აღნიშნავს კომისიის მუშაობას დადგენილებას და სხვათა შორის ამბობს, რომ კომისია წინააღმდეგი არ იყო სამ ენაზე, ქართულ, რუსულ და სომხურზე დაბეჭდილიყო სიები, მაგრამ ვინაიდან ტეხნიკური მოწყობილობის გამო სომხურ ენაზე ვერ ხერხდებოდა სიების ბეჭვდა, ამიტომ დაადგინა დაიბეჭდოს ქართულ ენაზე, როგორც სახელმწიფო და რუსულზე, როგორც საერთო გასაგებ ენაზე. ქალაქის გამგეობამ ეს დადგენილება შეცვალა და დაადგინა სიები იბეჭდებოდეს სომხურ ენაზედაც, თუმცა ქალაქის გამგეობაც ეთანხმება კომისიას, რომ სომხურ ენაზე სიების ბეჭვდა მეტ ხარჯს გამოიწვევს და ტეხნიკურათაც საძნელოა.

ქალაქის თავი აუცილებელ საჭიროთ სცნობს სომხურ ენაზედაც დაიბეჭდოს სიები. ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ დიდ ნაწილს ტფილისში მცხოვრებთა, რომელსაც სომხები წარმოადგენენ. რაც შეეხება ტეხნიკურ დაბრკოლებებს, ამათ ჩვენ დავძლევთ სომხის საქველმოქმედო საზოგადოებათა დახმარებით. ქალაქის გამგეობამ საჭიროდ სცნო მიმართოს მთავრობას, რომ ეს საარჩევნო სიები გამოიყენოს დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის, რაც შეეხება ფინანსიურ მხარეს, კომისიის გამოანგარიშებით, ორ ენაზე საარჩევნო სიების დაბეჭდვას უნდება 235 ათასი მანეთი. მესამე ენისათვის ჩვენ ავიღეთ დაახლოვებით 50,000 მანეთი. ასე რომ დამატებითი ხარჯებთან ერთად სამივე ენაზე ბეჭდვა 300,000 მანეთი დაჯდება, მთავრობამ ეს საარჩევნო სიები თუ გამოიყენა დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის, ნახევარის გადახდაზე დასთანხმდებაო.

რუხია აღნიშნავს, რომ კომისია ერთხმად თანახმა იყო საარჩევნო სიები და პრინციპიალურად [illegible] მდეგი, მაგრამ [illegible] ტეხნიკური [illegible] ფიკით, რომ ეს სიები უნდა დაიბეჭდოს რემინგტონებზე და ეს სომხურ ენაზე უფრო საძნელო იქნება ვინემ სხვა ენაზე. ამას გარდა მესამე საარჩევნო სიების დაბეჭდვა მოითხოვს ახი ათას მანეთს. მაგრამ რადგანაც გამგეობამ შესაძლებლად დაინახა ამ დაბრკოლებების დაძლევა, კომისია ამის წინააღმდეგი არ იქნება.

გოთუა მოითხოვს საარჩევნო სიების მხოლოდ ქართულ ენაზე დაბეჭდვას. ამ შემთხვევაში მას მოტივათ მოჰყავს ტეხნიკური, სიძნელე და ფინანსიური დაბრკოლებები. თუ სომხური ან რუსული ორგანიზაციები მოითხოვენ თავიანთ ენაზე ბეჭდვას ამისათვის თვითონ გაიღონ საჭირო თანხაო.

დიდი ხნის კამათის შემდეგ საბჭო ღებულობს ქალაქის გამგეობის დადგენილებას.

მრავალ სხვა საკითხებთა შორის საბჭო არჩევს გამგეობის მოხსენებას ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა მოსალოდნელი გაფიცვის შესახებ, რაც გამოიწვია ჯამაგირის მიუცემლობამ. ამის შესახებ მოხსენებას აკეთებს ქალაქის თავი. 20 ნოემბერს გამგეობაში შემოვიდა განცხადება, სადაც ჩვენი თანამშრომელთა კომიტეტი მოითხოვდა დაკმაყოფილებას. მოსამსახურეთა დელეგატების ყრილობა მოითხოვდა, რომ ჩვენ დაგვეკმაყოფილებია თვით მართველობის მუშები 1 დეკემბრამდე.

ქალაქის თვითმართველობამ გამოითხოვა მთავრობისაგან 1,500,000 მანეთი მილიციის შესანახად. ამის გარდა ჩვენ კიდევ შუამდგომლობთ მთავრობის წინაშე 6,000,000 მანეთს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ 4,000,000 მანეთს მოგვცემენ ეს პარლამენტშიც გავა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ ფულით, რომელსაც მთავრობა გვაძლევს მილიციის შესანახად, დავაკმაყოფილოთ ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურენი. ვინაიდან უკანასკნელებს 3 თვეა ფული არ მიუღიათ, მილიციონერები კი ღებულობენ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პარლამენტში გავა 4,000,000 მანეთის მიცემის პროექტი და მოსამსახურეთაც გაფიცვა არ მოუხდებათ.

მოსამსახურეთა წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ისინი მანამ ვერ დამშვიდდებიან, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ 4,000,000 მან. პარლამენტმა მიიღო. საჭიროა ეს საკითხი დაჩქარებით გაირჩეს პარლამენტშიო.

საბჭომ მიიღო სოციალდემოკრატიული ფრაქციის შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა ქალაქის თავის მოხსენება, საიდანაც სჩანს, რომ მთავრობას დახმარება აღმოუჩენია ქალაქის საჭიროებისათვის და ამით ქალაქის გამგეობას საშუალება ეძლევა დააკმაყოფილოს მოსამსახურეთა კანონიერი მოთხოვნილება, საბჭო იმედს გამოსთქვამს, რომ მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, ქალაქის მოსამსახურენი და პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭო არ გადასცდებიან თავიანთ შემოქმედების იმ სწორ ხაზს, რომელზედაც ისინი იდგნენ დღემდე ქალაქის თვითმართველობასთან და დამოკიდებულებაში და ქალაქის მეურნეობის სწორ მსვლელობას არ დაარღვევენ.

დ. ვ.

# ახალი ამბები

თფ. ქ. საბჭოს დადგენილებით, ქალაქის აფთიაქში 20 % დააკლდა წამლების ტაქსას.

◆ ბრძანება. საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის უფროსმა ინჟ. კანდელაკმა ბრძანება დაუგზავნა ლიანდაგის უფროსთ, რომლითაც უკანასკნელათ აფრთხილებს მათ, სასტიკი ყურადღება მიაქციონ თავის ხელქვეით მსახურთ, რომ მექრთამეობისათვის, სახაზინო ნივთების მითვისებისათვის და თვით სამსახურში ცუდი ყოფა-ქცევისათვის დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდან და მათზე აღიძვრება შუამდგომლობა, რომ სამსახურში აღარ იყვნენ დაბრუნებული, თვით უფროსნიც, რომელნიც ამ განკარგულებას არ შეასრულებენ იგინიც დასჯილ იქნებიან.

◆ განათლების მინისტრმა შეიტანა მთავრობაში კანონ-პროექტი საშუალო სასწავლებლების შტატისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ.

◆ უფასო ბილეთები. რკინის გზის უფროსმა განმარტება მისცა გზის ლიანდაგის უფროსს, რომ სეზონის ბილეთები და ბილეთი—სურათით უნდა ეძლეოდეთ მხოლოდ თვით მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს სახელდობრ: მეუღლეს, დედას, შვილებს და მცირეწლოვანთა (14 წლამდე), ძმას. რაც შეეხება სასურსათო ბილეთებს, ეს ბილეთები შეიძლება მიეცეთ აგრეთვე მოსამსახურეებსაც, ხოლო მოწმობის წარდგენით, რომ ეს პირი მასთან მსახურობს.

◆ ნავთზე ნიხრი. ქალ. თვითმართველობის გამგეობამ ნავთზე ნიხრი და-

ღო. კერძო პირებმა ნავთი 3 მანეთად უნდა გაჰყიდონ.

◆ **სომეხ ლტოლვილთა დახმარება.** სომეხთა ეროვნულმა საბჭომ ბაკურიანის ლტოლვილთათვის გადასდო 100,000 მანეთი.

◆ **ერობა.** საერობო საქმეთა მთავარ ინსტრუქტორის დუშეთის საერობო არჩევნების ხელმძღვანელი ატყობინებს, რომ დუშეთის მაზრაში არჩევნები დამთავრებულა. თიანეთის მაზრაში საერობო არჩევნების ხელმძღვანელათ დაინიშნა დ. ჩხეიძე, რომელიც უკვე გაემგზავრა თიანეთის მაზრაში მუშაობის დასაწყებად.

◆ **შორაპნისა და საჩხერის შუა მატარებლების მოხსნა.** საქართველოს რკინის გზათა სამმართველო ატყობინებს გზათა სამინისტროს, რომ სათბობი მასალის სიმცირის გამო, შორაპნისა და საჩხერის შუა დანიშნული მატარებლები № 57 და 58 დროებით შეჩერებულია. ამის და მიხედვით შორაპნიდან № 4 გავა 14 ს. 40 წ. საჩხერიდან № 3 კი გავა—4 ს. 2 წუთს.

◆ **ბაჟი გაზეთის განცადებებზე** ქალაქის თვითმართველობის გამგეობამ დაადგინა, გაზეთის რეკლამებსა და განცხადებებს განსაკუთრებული ბაჟი დაადოს.

◆ **ფარმაცევტთა ყრილობა.** კვირას, 1 დეკემბერს, დილის 12 საათზე, მედიკურ საზოგადოების შენობაში გაიხსნება საქართველოს რესპუბლიკის მოსამსახურე ფარმაცევტთა პირველი ყრილობა.

◆ **უკრაინის და კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო კოოპერატიულ ამხანაგობის** გამგეობაში აირჩიეს. ნ. კოვალევსკი (გამგე), ძიძიშვილი (გამგის მოადგილე) და გავისტი. სარევიზიო კომისიაში: შ. სუმცოვი, გ. ზოლატარიოვი, ნ. დუბროვი, მოლარეთ პ. გორდეცნსკი.

◆ **ნებართვის აღება.** მილიციის უფროსის ბრძანების თანახმად, იმ პირთ, რომელთაც სურთ აიღონ ნებართვა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან გასვლისა, უნდა თხოვნით მიმართონ უბნის კომისარს, თხოვნაზე უნდა დაკრული იყოს 2 მანეთიანი მარკა. კომისარის თხოვნებს თავის რეზოლიუციით გაუგზავნის გუბერნიის კომისარს, რადგანაც მთხოვნელები მიიღებენ საჭირო ნებართვას.

◆ **თფ. მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი,** რომელიც აწარმოებს საერობო არჩევნებს მაზრაში, ამით აცხადებს, რომ თფ. მაზრის საერობო საკრებულოს ხმოსანთა პირველი სხდომა დანიშნულია ორშაბათს, 2 დეკემბერს. დილის 10 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში. ხმოსნებს სთხოვს პრეზიდიუმი აუცილებლად დაესწრონ ზემოაღნიშნულ სხდომას.

◆ **გამომცემლობა,** რედაქციამ მიიღო „პირველი ნაბიჯის ბიბლიოთეკის" № 1. წიგნი ეძღვნება დუშეთის აჯანყებაში დაღუპულ ამხანაგთა ხსოვნას, მეტად სუფთად ლამაზად გამოცემული. ღირს 2 მანეთად.

◆ **ლექციები.** დღეს, ცენტრალურ სახალხო უნივერსიტეტში დანიშნულია ლექციები, სოლოვიოვის „მათემატიკა" მიხაილოვსკის „ფიზიკის უმთავრესი კითხვები". რამენდიკ-ზეკერის „ლიტერატურის ისტორია 30—40 წლების" ესენის „მუშათა საკითხი" დასაწყისი 6 საათიდან.

◆ დღეს, 27 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1) სერგეი გორგოლიანისა „საქართველოს ლიტერატურის ისტორია", 2) ილ. ნაკაშიძე „დასავლეთ ევროპის ხალხთა ცხოვრება და მწერლობა", 3) არ. დეკანოზიშვილი „ასტრონომია".

◆ **ქურდობა.** 25 ნოემბერს ბოროტმოქმედებმა მ. ოჩიგავას ბინიდან, გოლოვინის ქუჩა № 8, წაიღეს 8 ათასი მანეთის სხვადასხვა ნივთები.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

ოთხშაბათს, 27 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე პირველ რაიონის სოც.-დემოკ. მუშ. პარტიის ბიუროს ბინაზე დანიშნულია ამავე რაიონის კოლექტივის, ყველა ქვემო კოლექტივების, სამოქალაქო კომიტეტის და რკინის გზის თფილისის კვანძის მუშა-მოსამსახურეების პროფესიონალურ კავშირის რაიონულ გამგეობის წევრთა კრება. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, მეორე რაიონის ბინაზე დანიშნულია თფილისის ს.-დ. პარტიის ქალთა კომიტეტის სასწრაფო სხდომა.

# მთავრობაში

21 ნოემბერს მთავრობამ დაადგინა:

ა) ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგს იოსებ სილაგავას, წევრებს—მაჭავარიანს, ნიკორაძეს და ბრალმდებლის ამხანაგს ბიქტორ მთვევაძეს დაევალოს დროებით: პირველს—ქუთაისის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარეობა, მეორეს—ამავე სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგობა, მესამესა და მეოთხეს—წევრების და მეხუთეს—ბრალმდებლის მოვალეობის ასრულება, მათი ოლქის სასამართლოში თავიანთ თანამდებობაზე დატოვებით.

ბ) დაინიშნონ იმავე საგანგებო სასამართლოს წევრებათ იაკობ სპირიდონის ძე ფანცხავა და შალვა იოსების ძე სანებლიძე და ბრალმდებლის ამხანაგათ—გ. გაბუნია.

გ) იმავე სასამართლოს წევრათ დაინიშნონ კიდევ: სამტრედიის ყოფილი რევოლიუციონური ტრიბუნალის თავმჯდომარე მიტროფანე ჯანელიძე და წევრები ევგენი ძიძიგური და ბესარიონ ფარცვანია, ბრალმდებლის მეორე ამხანაგათ კი, ყოფილი ტრიბუნალის ბრალმდებელი პავლე წულაია. ამ უკანასკნელთ სხვათა შორის დაევალება ქუთაისის საგანგებო სასამართლოს სესიის სახით, გაარჩიონ სამტრედიის რაიონის საქმეები.

დ) გაეხსნას იუსტიციის მინისტრს ათ-მილიონიანი ფონდიდან ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშში, ქუთაისის საგანგებო სასამართლოს 1918 წლ. ბოლომდე შესანახად საჭირო კრედიტი.

———

ახალციხის და ახალქალაქის მაზრების გორის მაზრასთან მოსაზღვრე ადგილებში საქმის განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, დადასტურებულ იქნას დროებითი გენერალ-გუბერნატორის მაყაშვილის განკარგულება აწყურისა და ბარალეთის უბნების 5 ნოემბრიდან სამხედრო წესებზე გამოცხადების შესახებ, ამავე წესების გავრცელებით ახალციხის და ახალქალაქის მაზრების დანარჩენ ნაწილებზედაც, სადაც კი ჩვენი ჯარები შევლენ.

———

23 ნოემბრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: გაეხსნას სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ათ მილიონიან ფონდიდან 1 500,000 მანეთის კრედიტი ავანსის სახით სმეტის ანგარიშში.

———

მოწონებულ იქნას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შედგენილი ქალაქების საარჩევნო კანონ-პროექტი საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისათვის შემუშავებული ნორმების მიხედვით და ამ სახით გადაეცეს პარლამენტს; თფილისის ქალაქის ხმოსანთა რიცხვი უნდა იყოს 90

———

გადაიდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში ათ-მილიონიან ფონდიდან 30,000 მანეთი თფილისის საგენერალ-გუბერნატორს შესანახად.

———

მედიკო-სანიტარული ნივთებზე პირველ მოთხოვნილებისამებრ უნდა მიაწოდოს მომარაგების კომიტეტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერობებისათვის დასარიგებლად და გადაცემულია მედიკამენტები შეიტანოს ერობების კრედიტში.

———

გაეხსნას შინაგან საქმეთა მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 500 ათასი მან. ერობათა სუბსიდიის სახით დახმარებისათვის.

———

გაეხსნას განათლების მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 100,000 მანეთის კრედიტი სოხუმის ოლქის სახალხო სკოლების შენახვისათვის.

———

საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნოს ნაფიცი ვექილი ივანე ჯაფარიძე.

———

მიენდოს გარეშე საქმეთა მინისტრს მიიღოს შესაფერი ზომები თერგის ოლქის ქართველთა ინტერესების დასაცავად.

———

1) სახელმწიფო დროშის შესახებ წარმოდგენილ პროექტში ყველაზე უფრო მოწონებულ იქნას დროშის პროექტი დევიზით „წინ".

2) ეს პროექტი უნდა შესწორდეს: უნდა დაცულ იქნეს სიმეტრია, ცხენის ფეხები ცოტა უფრო მომსხო უნდა იქნეს, თვით ცხენის ფერი სრულიად თეთრი უნდა დარჩეს, მნათობები შავიდ უნდა იქნეს;

3) მოწონებულ იქნეს სავსებით იმავე ავტორის შტანდარტისა და სამხედრო დროშის ნიშნები;

4) ყველა ეს ეცნობოს ავტორს, რომელიც კონვერტის გახსნის შემდეგ აღმოჩნდა იოსიპ შარლემანი.

# იუსტიციის სამინისტროში

**ზუგდიდის სასამართლოს დაწვა**

ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე და პროკურორი დეპეშით აცნობებს იუსტიციის მინისტრს, რომ ნოემბრის 23 ს დილის 4 საათზე გადამწვარა ზუგდიდის სასამართლოს შენობა ყველა საქმეებით და მთელის ინვენტარით, მოხდენილა სათანადო განკარგულება საქმის გამოძიების შესახებ.

**განქორწინების პროექტი.**

საკათოლიკოზო საბჭოს მიერ შემუშავებულ განქორწინების პროექტის განხილვა დაასრულა იუსტიციის სამინისტროსთან მომქმედმა საუწყებათაშორის კომისიამ. პროექტი ცოტაოდენის ცვლილებით სასწრაფოდ წარედგინება რესპუბლიკის მთავრობას და შემდეგ—პარლამენტს.

**გამომძიებელთა კამერების რევიზია.**

იუსტიციის მინისტრმა შ. ვ. ალექსი-მესხიშვილმა წინადადება მისცა ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, რომ იქ, სადაც ძველ გამომძიებლებს ჯერ არ დაუსრულებიათ საქმეების გადაცემა ახლად დანიშნულებისათვის, დაუყონებლივ იქნას მიღებული ზომები საქმეების ჩაბარების დასამთავრებლად და აგრეთვე გამომძიებელთა საქმეების საერთო რევიზია.

**ცხინვალის რევოლიუციონურ ტრიბუნალის საქმეები.**

რადგან გამოირკვა, რომ ოლქის სასამართლოს პროკურორს ჯერ არ ჩაუბარებია ყოფილ ცხინვალის რევოლიუციონურ ტრიბუნალის საქმეები, მას წინადადება მიეცა დაუყონებლივ ჩაიბაროს როგორც ცხინვალის, ისე სხვა რევოლიუციონურ ტრიბუნალების საქმეების ჩაბარება, სადაც უკანასკნელი არ დასრულებულა.

**იურიდიული ტერმინები.**

იუსტიციის სამინისტროს ტერმინოლოგიურმა კომისიამ დაასრულა მუშაობა და გადასცა შემუშავებული მასალა იუსტიციის მინისტრს. უკანასკნელის განკარგულებით, შემუშავებული ტერმინები დაბეჭდვამდე გადაეცემა პარლამენტის იურიდიულ კომისიას ზოგიერთი უკვე მიღებულ ტერმინებთან შესათანხმებლად.

**საბიუჯეტო ცნობები.**

მთავრობის დადგენილებით, ყველა სამინისტროებმა უნდა წარუდგინონ მთავრობას 1918 წლის ხარჯთ აღრიცხვა ნოემბრის 26 მდე. ამის და კვალად იუსტიციის მინისტრმა დაავალა ყველა მის ხელქვეით დაწესებულებათ სათანადო ცნობების წარმოდგენა არა უგვიან ეს ნოემბრის 24 შეკითხვაზე ჯერჯერობით მიღებულია მხოლოდ სოხუმის ოლქის თავმჯდომარის პასუხი და აგრეთვე გამოგზავნილია ცნობები ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის მიერ. როგორც მსგან მიღებულ დეპეშიდან სჩანს სოხუმის ოლქის სასამართლოს ხარჯთაღრიცხვა გულისხმობს (მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის გამოკლებით) 67722 მ. შემოსავალს და 413112 მანეთის ხარჯებს.

**სამინისტროს ახალი შტატები.**

იუსტიციის სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას დასამტკიცებლად ახალი შტატები სამინისტროს კანცელარიისა. ამის და კვალად მიღებულია ზომები სამინისტროს ბინის გასაფართოვებლად.

**კრედიტი სასამართლოს უწყების დაწესებულებათა შენობის გასათბობად.**

იუსტიციის მინისტრმა მოხსენება წარუდგინა მთავრობას 50000 მანეთის კრედიტის გადადების შესახებ ათ-მილიონიან ფონდიდან სასამართლო უწყების დაწესებულებათა შენობის გასათბობად.

**საპყრობილეთა ინსპექტორის მოადგილე**

საპყრობილეთა ინსპექტორის უფროს თანაშემწედ და ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა გ. დ. კანდელაკი. ინსპექტორის უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღსრულება დაევალა ტ. ი. იარალოვს.

# სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კრება

24 გიორგობისთვეს, სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში შესდგა ამავე უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კრება. თავმჯდომარეობდა კობახიძე.

დღის წესრიგი დაისვა შემდეგი კითხვები: 1) მისასალმებელი დეპეშები, 2) კავშირის გამგეობის მოხსენება, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) მიმდინარე კითხვები, 5) ახალი გამგეობის არჩევნები, 6) წესდების განხილვა და სხ. ს.-ფედერალისტთა სახელით შემოიტანეს წინადადება გაეგზავნოს სტუდენტთა კრების სახელით მისასალმებელი დეპეშები მთავრობის თავმჯდომარეს, პარლამენტის თავმჯდომარეს, გერმანელ ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარეს, უნივერსიტეტის რექტორს და განათლების მინისტრს. წარმოადგინეს შესაფერი ტექსტი დეპეშებისა, რომელთაც კრებამ ზოგიერთი შესწორებით ამტკიცებს.

სტუდენტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი—ჯავახიშვილი აკეთებს მოხსენებას გამგეობის მოქმედებაზე. როგორც მისი სიტყვებიდან ირკვევა, გამგეობას ფრიად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა, მიუხედავათ ამისა მაინც შესძლო მან რამეს გაკეთება. მისი მოღვაწეობა, დაახლოვებით, გამოისახა შემდეგში: მან (გამგეობა) გამართა საღამო, რომელმაც წმინდა შემოსავალი დასტოვა 10,000 მან., გამოსცა ენათ-მეცნიერ ახვლედიანის ლექციები ორ წიგნათ: I და II ნაწილი. ეცადა სხვა ლექციებიც გამოეცა. აღმოუჩინა მატერიალური დახმარება ზოგიერთ სტუდენტთ, მოაწყო საჩაიე და სხვ.

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ, რომელიც ადასტურებს მომხსენებლის დებულებებს, ხდება კამათი.

მიმდინარე კითხვებში პირველი ადგილი დაიჭირა სასადილოს საკითხმა, საჩაიეს ბინის და სხვა, ამხ. სიგუამ მოითხოვა, დაბეჯითებით დაევალოს ახალს გამგეობას სასადილო თუ საჩაიე მოაწყოს კოოპერატიულ ნიადაგზე არა უნივერსიტეტში, არამედ სადმე ცენტრში, რათა შეძლება ექნეს ყოველ სტუდენტს ისარგებლოს მით. პრინციპიალურად მისი აზრი კრებამ გაიზიარა, ხოლო ტექნიკური მოწყობა ამისი მიენდო ახლათ არჩეულ გამგეობას, რომელიც შეიმუშავებს გეგმას თავის მომავალი მოქმედებისას და წარუდგენს საზოგადო კრებას ორი კვირის შემდეგ. გამგეობის არჩევნებს დიდი დრო არ დასჭირებია, ვინაიდან მოხდა წინასწარი შეთანხმება ფრაქციათა შორის.

25 კაციდან, გამგეობაში სოც.-დემ. აქვს 5 ადგილი, ს. ფედერალისტებს 13—და ნაციონალ-დემოკრატებს 7. როგორც ვხედავთ გამგეობაში სოც.-დემ. უმცირესობას წარმოადგენს, თუმცა რეალური ძალთა განწყობილება ასეთი არ არის. ძალთა განწყობილების მიხედვით ეს პროპორცია ვერ არის სწორი. ს. დ. მიიღო რა მხედველობაში საქმიანობის პრინციპი, და ის გარემოება, რომ გამგეობაში პარტიული არაფერი გაკეთდება, ნაც.-დემ. დაუთმო მეტი ადგილი. იცოდა უარი გამოიწვევდა კინკლაობას და ეს უკანასკნელი კი საქმეს ძლიერ შეაფერხებდა და დიდი ხნით გადაიდებოდა გამგეობის არჩევნები.

უკანასკნელი საკითხი—წესდების განხილვა და შეცვლა კრებამ მიანდო ახალ გამგეობას, რომელიც ვალდებულია წარმოადგინოს ახლო მომავალში მოწვეულ საზოგადო სტუდენტთა კრებაზე წესდება საჭირო ცვლილებებით.

დახელი ქალი.

# ერობათა წარმომადგენლების თათბირი

21 და 22 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა თათბირი საქართველოს ერობათა წარმომადგენლებისა, რომელსაც თავმჯდომარეობდა შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი. თათბირში მონაწილეობა მიიღეს მინისტრის ამხანაგებმა კ. ბ. სახაროძეთეიშვილმა და გ. ფ. მახარაძემ, შინაგან და საფინანსო სამინისტროების წარმომადგენლებმა და აგრეთვე უწყებათა უფროსებმა.

კრებას დაესწრნენ: ოზურგეთის სამაზრო საერობო გამგეობის წევრი მგერეჟიანი, გორის საერობო კრების წევრი გ. გაგლოევი, შორაპნის ერობის გამგეობის თავმჯდომარე პ. გოგიაშვილი, სენაკის სამაზრო ერობის თავმჯდომარე ი. სალაყაია, ქუთაისის სამაზრო ერობის წევრი გ. დუნდუა, გორის ერობის წარმომადგენელი მ. ახალაძე, ქუთაისის ერობის თავმჯდომარის ამხანაგი გ. სოგოროვი, გ. ემუხვარი, ქუთაისის გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე გრ. ურატაძე, სამტრედიის ქალაქის თავი გ. პაპავა, რ. ყიფიანი, რაჭის სამაზრო ერობის წარმომადგენელი ზ. ბიჭაშვილი. ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. კალანდარიშვილი, ადლერის ქალაქის თავი გ. ფერაძე, ოზურგეთის ერობის წარმომადგენელი ს. ცქვიტაძე, თელავის სამაზრო ერობის მდივანი გ. ცისკარიშვილი, ზუგდიდის აღმასრულებელი კომიტეტის წევრნი ა. ჩიკავა და გ. მიქავა, შორაპნის ერობის ხმოსანი ზ. გურული.

თათბირმა მოისმინა შემდეგი მოხსენებები: 1) საფოსტო სასოფლო გზების დაქსელვა საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებთა ნატურალური შრომით. 2) შეცვლა და დამატება საერობო დაწესებულებათა დებულებისა, რომელიც გამოწვეულია საგუბერნიო უწყებათა გაუქმებით; 3) ერობის ბიუჯეტი; 4) ქონების, დაწესებულებების გადაცემა ერობაზე და აგრეთვე სათანადო საერობო თანხა; 5) ერობათა მედიკო-სანიტარულ ორგანიზაციათა მოწყობა; 6) რესპუბლიკის ტერიტორიის ახალ ადმინისტრატიულ ერთეულებათ დაყოფა; 7) წვრილ ერობათა ერთეულის და საზოგადოებების ხარჯთ-ამკრებითა შესახებ; 8) ერობის სტატისტიკა; 9) სურსათი, ერობათა კოოპერატივები და თავისუფალი ვაჭრობის საკითხი; 10) ერობათა მოღვაწეების ყრილობა.

მოხსენებების მომეტებული ნაწილი, რომელთაც აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, გადაწყვეტილია მოხსენდეს მომავალ საერობო მოღვაწეთა ყრილობას, რომელიც განზრახულია მოეწყოს დეკემბრის ბოლოს ან იანვრის დასაწყის. თათბირმა სხვათა შორის შემდეგი სურვილები გამოსთქვა: 1) ყველა ის დაწესებულებანი, რომელნიც ამიერ-კავკასიის ერობის ხარჯზე იყვნენ და აგრეთვე მათი თანხები უნდა გადაეცეს დაუყონებლივ ერობებს; 2) გადიდებულ იქნას ერობის სასარგებლოთ განზრახული ერთდროული სახელმწიფო მიწათა გადასახადები 30 %-ით. 3) გადიდებული იქნას მთავრობის მიერ გაღებული სესხი ერობათა სასარგებლოთ 6 მილიონამდე. 4) გამოიცეს კანონმდებლობის გზით საგანგებო დადგენილება, რომ ექიმებმა, რომელნიც კერძო პრაქტიკით ცხოვრობენ მიიღონ მონაწილეობა ეპიდემიასთან ბრძოლაში. 5) გზების გასაკეთებლათ ბეგრის მოხდა სავალდებულო იყოს სოფლის მცხოვრებთათვის, 6) სოფლის საზოგადოება უნდა ცნობილ იყოს, როგორც წვრილი საერობო ერთეული და დაწესდეს თანამდებობა ერობის ხარჯთ-ამკრეფის, რომლის ხარჯებიც უნდა მიღებულ იქნას მაზრის ერობის მიერ, დროებით მთავრობის კანონთან შეფარდებით. 7) ერობების გახსნისათანავე უნდა დაწესდეს სტატისტიკური განყოფილებანი. 8) მაზრის მილიციას უნდა ერობა განაგებდეს. 9) სურსათის საქმე ერობის ხელში უნდა იყოს. ყოველივე ქონება სასურსათო გამგეობების და მათი კრედიტები უნდა ერობებს გადაეცეს. 10) კანონ-პროექტი კოოპერატივების შესახებ არ უნდა იქნეს დამტკიცებული, თუ ის წინასწარ არ იქნება განხილული ერობების ყრილობაზე. 11) გაუქმებულ იქნას გუბერნიის საერობო უწყება. 12) ორგანო, რომელიც შეაერთებს მაზრების საერობო დაწესებულებებს, იქნება ცენტრალური საერობო გამგეობა, რომელიც დაექვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროს.

# აფთიაქის ნიხრის მომატების შესახებ

მთავრობამ დაამტკიცა ახალი ნიხრი და უკვე შეუდგნენ მის ცხოვრებაში გატარებას. შეკრებილი ცნობებით, ხალხში დიდ უკმაყოფილებას იწვევს წამლების ფასის ასეთი გადიდება. მუშის მტერი არ ისვენებს და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ მუშა დამნაშავეთ გამოიყვანოს. ჩვენი პროფესიონალური კავშირი ყურადღებას აქცევს, რომ დაიცვას როგორც აფთიაქში მომუშავეების ინტერესები, ისე საზოგადოებისა. როდესაც ნიხრის შემმუშავებელთა კომისიამ შეიმუშავა ნიხრი და გადასცა მთავრობას დასამტკიცებლათ, პროფესიონალურმა კავშირმა აცნობა მთავრობას, რომ კომისიაში არ ღებულობენ მონაწილეობას მომუშავე ფარმაცევტთა წარმომადგენელნი ამისთვის ნიხრი არ უნდა იქნას დამტკიცებული. მთავრობამ მიიღო რა ეს მხედველობაში, ნიხრის დამტკიცება შეაჩერა და აცნობა კომისიას, რომ მომუშავე ფარმაცევტთა წარმომადგენლების თანადასწრებით გადაესინჯათ ნიხრი. პროფესიონალურმა კავშირმა მიიღო ეს ცნობა და გაგზავნა კომისიაში თავისი წარმომადგენლები, რომლებსაც დაავალა, დაეცვათ კავშირის დადგენილებანი. კავშირი საკმარისათ სცნობდა იმ მომატებას წამლებზე (100 პროც.—200 პროც.), რომელიც კომისიამ შეიმუშავა და დაუყონებლივ მოითხოვდა გაუქმებას იმ ოცი პროცენტისას, რომელიც ნაშოვნია ძველი მთავრობისაგან და ზედმეტად ემატება დღესაც ახალ ნიხრს. ამის გარდა ჩვენი კავშირი მოითხოვდა ხელ-ფასის (taxa laborum) შემცირებას, რომელიც იყო მომატებული ას პროცენტამდის. ჩვენი კავშირი ხელმძღვანელობდა იმით, რომ მოსამსახურე ფარმაცევტებს მოემატა ჯამაგირი მხოლოდ ოცდაცამეტ და ერთ მესამედ პროცენტამდის, ყველა ამ განცხადებებმა ამაოთ ჩაიარა და კომისია არ დაეთანხმა ამ მოთხოვნილებას, მაშინ გაგზავნილმა ამხანაგებმა, ზემოხსენებულ მოსაზრებით, წერილობით მიმართეს საექიმო სასანიტარო განყოფილებას, რომ მას ეს მოსაზრებები ეცნობებინა მთავრობისათვის. როგორც სჩანს ეს მოსაზრებები ვერ იყო ნათლად მთავრობის წინ გაშუქებული, და ამ გარემოებამ შეიყვანა მთავრობა შეცდომაში, რომ დაამტკიცა ახალი ნიხრი შეუცვლელათ. პროფესიონალური კავშირი ვერ შეურიგდა ასეთ ნიხრის გადიდებას, მით უმეტეს ასეთ ეპიდემიის დროს და ამიტომ შუამდგომლობა პირადი და წერილობით მთავრობის წინაშე ნიხრის დაკლების შესახებ. აგრეთვე მიმართა ქალაქის თვითმართველობას, რომ ქალაქის პირველ აფთიაქს გაეშვა წამლები, სანამ ახალ ნიხრს გადასინჯავდნენ ოცი პროცენტის გამოკლებით, რომ ამით მიეცეს საშუალება მოქალაქეებს ნაკლებ ფასებში შეიძინონ წამლები ქალაქის აფთიაქიდან.

თფილისის აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა.

# აფხაზეთის ამბების გამო

**აფხაზთა სახალხო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის [illegible] წერილი.**

უკანასკნელი [illegible] ოქტომბრის ამბებმა ფართო მასსაში იწვევს სრულიად სხვადასხვა შეხედულება. მასზე მსჯელობენ, როგორც აფხაზთა ნაციონალურ მოძრაობაზე, რომელიც მიმართულია დამოუკიდებელ აფხაზეთის შექმნისაკენ და არის საქართველოსათვის მტრული იმდენათ, რამდენათაც საქართველოს მთავრობას აქვს აქ, აფხაზეთში იმპერიალისტური ტენდენციები და ამიტომ შეეძლო მას აფხაზეთის დამოუკიდებლობას წინ გადაღობოდა. ვრცელდება ასეთი ხმები, ერთი მხრივ, საქმის არსებითი მხარის უცოდინარობის გამო და უმთავრესათ კი იმ თვალსაზრისით შინჯავენ ამ ამბებს ის პირები, რომელნიც აფხაზეთის ნაციონალიზმით გატაცებულნი არიან და აფხაზეთის ხალხის ზურგს უკან ჰსურთ აწარმოონ რეაქციონური პოლიტიკა, მიმართული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და საერთოდ დემოკრატიზმის პრინციპის წინააღმდეგ. შეთქმულობამ, რომლის ძაფი მთავრობას უკვე ხელში უკავია, სულ სხვადასხვა ეროვნების რეაქციონური ელემენტები შეაერთა. თუ შეთქმულება იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს გარშემო და თუ შეთქმულება მხედველობაში ჰქონდათ აფხაზეთის სახალხო საბჭოში გადატრიალების მოხდენით მიეღწიათ თავის მიზნებისათვის, ეს იმიტომ კი არა, რომ მათ მხარს დაუჭერდა მთელი აფხაზეთის ხალხი მას შემდეგ, რაც საბჭოდან განიმარტოვებდნენ მათთვის არასასურველ პირებს, არა—ბრძოლა გაცხოველდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს გარშემო მხოლოდ იმიტომ, რომ ეს საბჭო იყო პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ფაქტიურად მთელი აფხაზეთის წარმომადგენელი იყო,და შეთქმულნი დარწმუნებულნი უნდა ყოფილიყვნენ: თუ ისინი თუ გინდ ძალით ხელთ იგდებდნენ საბჭოს, ცხადია, მიიღებდნენ ფორმალურ უფლებას აფხაზეთის სახელით ემოქმედათ, დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის ჩამოეშორებინათ და ჩრდილოეთ კავკასიის რეაქციონურ ელემენტების რეტროგრადიულ კომბინაციასთან კავშირი გაებათ. ეს რეაქციონერები მოკავშირეებს ყველა წრეში ეძებდნენ. და აფხაზეთის საქმეთა კომისარს და საოლქო კომისართ, რომელნიც აფხაზეთის სახალხო საბჭოს წინაშე პასუხისმგებელნი იყვნენ, ქონდათ საფუძველი თავისი ოფიციალური მდგომარეობა შეურყევლათ ჩაეთვალათ იმ მიზეზთა გამო, რომელიც კარგათ უწყიან საბჭოს წევრებმა და რომელიც სხვათა შორის იცის მასამაც. ამ პირთა ინდივიდუალური ქარაფშუტობა და პოლიტიკური მერყეობა რეაქციონერებმა ადვილათ გამოიყენეს. და პირველმა და მეორემაც, რომელთაც,როგორც ოფიციალურ პირთ, ემორჩილებოდათ საოლქო მილიცია და აფხაზთა ასეული, მობილიზაცია მოახდინეს მთელი ძალების და მათი საშვალებით საბჭოს ალყა შემოარტყეს, ნაწილი კრებაზე შეიყვანეს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, როცა მათ დატუსაღება უნდა მოეხდინათ და ამიტომ ეს აუხსნეს ასეულს და მილიციას, აღმოჩნდა, რომ ისინი თავ ს უფროსების ბრძანებას არ ასრულებენ. ყველაფერი ეს ხდება უფრო ადრე, ვინემ მთავრობის ჯარი საბჭოს მიუახლოვდებოდა. საბჭოს წევრთა დატუსაღების ცდა უშედეგოთ ჩატარდა, რადგან თვით მილიციამაც კი, რომელსაც ადგენდნენ სპეციალურათ ამ ძალადობის გულისთვის, როგორც კი გაიგო მათი მიზანი, ხალხის ინტერესებს გვერდი ვერ აუხვია და შეთქმულება სისრულეში ვერ მოვიდა. ასეულის უფროსმა როგორც კი გაიგო მასზე დაკისრებული მიზანი მაშინათვე გამოუცხადა აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარესთან წინადადებით, რომ ის და მისი ასეული თავმჯდომარის სრულ განკარგულებაშია და მზათ არიან მისგან ბრძანება მიიღონ. [illegible] ერთეულების არეულობის და მდგომარეობის არაჩვეულებრიობამ, რომელშიც საბჭოს სხდომაზე მ იქნა, შეუძლებლობა, მთავრობის ჯარის მოსვლამდე იქვე დაჭერა პირს ყველა შეთქმულნი.

დღეს კი შეთქმულნი და მათი მეგობრები „ობიექტურს" აწინდენ საყოველთაო სახალხო აჯანყებით საქართველოს წინააღმდეგ, აფხაზეთის ერის ინტერესების და უფლებების დაცვისათვის. ავრცელებენ ხმებს, თითქოს საქართველოს მთავრობამ იმიტომ დაშალა საბჭო, რომ დაიმონოს აფხაზეთი, და რომ აფხაზები ამას ვერ მოითმენენ და იარაღით ხელში დაიცავენ თავის უფლებებს. ამბობენ აგრეთვე, რომ აფხაზეთის ხალხი საქართველოს წინააღმდეგ ეძებს მოკავშირეს ჩრდილოეთ კავკასიის რეაქციონერთა წრეებში. ამ მეთოდმა მოთქმაზე არ შეეჩერდებოდით, რომ ამით ყველა ერის რეაქციონერებს, რომელთაც დემოკრატიის ხმართლის შიშით, მიზნით არ ჰქონდათ მთელი პასუხისმგებლობა თავის თავიდან მოიშორონ და აფხაზეთის ხალხს დააკისრონ. თავიდან ბოლომდე ყველაფერი ეს ცილისწამება

და სიცრუეა, რომელსაც საქართველოს მთავრობას და აფხაზეთის ხალხს თავზე ახვევენ. საქართველოს მთავრობა იძულებული იყო ეხლანდელი შემადგენლობის აფხაზეთის სახალხო საბჭო გაეშვა, რადგან შექმნილი მდგომარეობა თვით საბჭოში და დიდი პოლიტიკური საკითხები, რომელსაც ცხოვრება აყენებდა, ვერ გადასწყდება, თუ საბჭოს ესა თუ ის ჯგუფი იარაღით დემონსტრაციას არ მიმართავდა. რა მიზეზით იქნებოდა ასეთი მდგომარეობა იმიტომ ხომ არა, რომ საბჭოს პირადი შემადგენლობა არ შეეფერებოდა თავის უმაღლეს დანიშნულებას, თუ იმიტომ, რომ საბჭო სწორეთ არ იყო შედგენილი, და ამიტომ ხალხის ნებას ვერ გამოხატავდა; მაგრამ ერთი უეჭველია: რომ დემოკრატია იდგა ფაქტის წინაშე, რომ საბჭოს არსებულ შემადგენლობას არ შეეძლო გადაეწყვიტა არც ერთ რიგში დასმული კარდინალური კითხვები და ამ საბჭოს ხელში ხალხის ბედის დატოვება საშიში იყო სწ[illegible] თვით ხალხის ინტერესების თვალსაზრისით.

ამა წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით საქართველოს მთავრობამ გაუშვა არსებული შემადგენლობის საბჭო, დაარსა ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელმაც უნდა მოაწყოს აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნები დამყარებული საყოველთაო საარჩევნო უფლებაზე. რაც შეეხება სახელმწიფოებრივ ძალაუფლების შემდეგ ნაბიჯებს, რომელიც შეეხება სახელმწიფოსა და დემოკრატიის მტრების აღმოჩენას და მოშორებას,—ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა.

ცილისწამებაა და საშინელი უხეში ცილისწამებაა აფხაზეთის ხალხზე. აფხაზეთი არასოდეს არ ეძებდა კავშირს ჩრდილოეთ კავკასიის რეაქციონურ ელემენტებთან დემოკრატიულ რესპუბლიკასთან საბრძოლველად და არასოდეს არ უყურებდა და არ უყურებს საქართველოს რესპუბლიკანურ სახელმწიფოებრივობას, როგორც ძალას, რომელიც ისწრაფვის დაიპყროს იგი. და ყველა ერის რეაქციონერები დარწმუნებულნი ბრძანდებოდნენ იმაში, რომ აფხაზეთი ისე რომ უყურებდეს საქმეს, როგორც ეს სურთ რეაქციონერებს, მაშინ აჯანყება აუცილებელი და ის ფაქტიც იქნებოდა. და თუ აფხაზეთმა იმ დროს როდესაც მას რუსეთი იპყრობდა, შესძლო გამოეჩინა საგრძნობი სიმამაცე, რომ [illegible] თავისი დამოუკიდებლობა ძლი[illegible] რუსეთისაგან და თუ მათ დიუთმეს [illegible] ხანტების ძლიერებას მას შემ[illegible] რაც ხანგრძლივ ბრძოლაში მთელ მცხოვრებთა სამი მესამედი თუ არა ნახევარი მაინც დაჰკარგეს, ეხლა დარწმუნებულნი ბრძანდებოდნენ ყველა, რომ აფხაზეთი დღესაც გამოიჩენდა იმდენ ვაჟკაცობას და ძალას, რომ იარაღით ხელში დახვედროდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დაპყრობითი სწრაფვას, იმ შემთხვევაში, თუ კი ასეთი იქნებოდა.

დემოკრატიის წინაღმდეგ მთელ ამ რეაქციონურ გალაშქრებაში აფხაზეთის ხალხი დამნაშავეა იმდენად, რამდენათაც დამნაშავეა სხვა რომელიმე ხალხი, ქართველი, რუსი, ბერძენი, სომეხი და სხვადასხვა. ესე იგი სულ არა. დემოკრატიის წინაშე შიშმა მისი ეროვნების მაცხოვრებლებთ, შეაერთა ყველა ერის რეაქციონერები და ტყუილად სცდილობს რეაქცია თავისი შავბნელი საქმე აფხაზეთის ნაციონალური მოძრაობის სახელით გააკეთოს. აფხაზეთის ნამდვილი სახალხო წარმომადგენლობა, რომელიც შეიკრიბება, დაუმტკიცებს მათ ამას.

(„ნ. ს.“).

## გორის მაზრის საერობო ხმოსანთა თათბირი

გორის მაზრის ერობის ხმოსნების კრება სათათბირო ხასიათისა მოხდა 17-ს ნოემბერს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში. კრებას დაესწრო 16 ხმოსანი. დაესწრო აგრეთვე მოპატიჟებული სტუმრები—საქმისათვის საჭირო პირები. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ექიმი მ. კობერიძე მდივნათ—პ. ეფრემიძე თავმჯდომარემ გააკეთა მოკლე მოხსენება ერობის არჩევნების შესახებ; გამო[illegible], რომ არჩევნები მოხდარა მაზრ[illegible] 8 რაიონში, საიდანაც არჩეულ იქმნენ ბუთ ხუთი ხმოსანი; მეცხრე რაიონში—ოსეთში კი არ შემდგარა არჩევნები სხვადასხვა მიზეზებისა გამო ხმოსნების ვინაობა შემდეგია: ბორჯომის რაიონიდან: ახალაძე აგრონომი, კანდელაკი ექიმი, დევიძე მასწავლებელი, ნასიძე მუშა, მიქაბერიძე გლეხი. ძირაისლოვ-სურამის რაიონ.: მელიქაძე მასწავლებელი, მამალაძე პროვიზორი, ზაქარიაშვილი მუშა, შუბლაძე გლეხი, ბაბლიძე გლეხი. გომის რაიონიდან: ყიფშიძე მეურნე, მღებროვი გლეხი, კოკოლაშვილი გლეხი, ხითაროვი მუშა, იმერლიშვილი გლეხი. ქარელის რაიონიდან: არაკიშვილი მეურნე, ნუკრაძე მუშა, მიქაბერიძე მუშა, მეერი მუშა. ახალქალაქის რაიონ.: კაციაშვილი გლეხი, კალატოზიშვილი კოოპერატორი, დემეტრაშვილი გლეხი, ბარონოვი მუშა, დ. გაგლოევი მასწავლებელი. მეჯვრისხევქალის რაიონ.: სუხიშვილი მუშა, ხახიშვილი მედავითნე, მერებაშვილი მუშა, ჟუნაძე მასწავლებელი, ოქროპირიძე გლეხი. ცხინვალის რაიონიდან: ცაბაძე ვ., გაგლოევი გ., გაგუა მომრიგებელი მოსამართლე ეფრემიძე მეურნე, მაჭავარიანი მეურნე. გორიდან: შაქრო ჯავახიშვილი მეურნე, ეგნატაშვილი სტუდენტი, ხუციშვილი ექიმი, გურგენოვი მოხელე, გვერდ-წითელი ექიმი.

პარტიულათ ამორჩეული ხმოსნები ნაწილდებიან შემდეგ ნაირად: 36 სოციალ-დემოკ. 1 ნაც. დემოკ., 1 დაშნაკი და 2 სოც. ფედერალისტი. თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ ლაპარაკობს დ. ონიაშვილი: მისი აზრით პირველი და დიდი საქმე ერობისა არის ხარჯთ აღრიცხვის საქმე; ამისათვის საჭიროა კრებამ გაითვალისწინოს რა განყოფილებებს ექნება ადგილი მის მუშაობაში; ეს განყოფილებები თითონ შეიმუშავებენ თავიანთ ხარჯთ-აღრიცხვას; თავი და თავი განყოფილებები იქნებიან შემდეგი: 1) ადმინისტრაცია და სასამართლო; 2) გამგეობა (აღმასრულებელი ორგანო); 3) ფინანსიურ-სტატისტიკური ნაწილი; 4) სატეხნიკო განყოფილება; 5) სახალხო განათლება; 6) საექიმო ნაწილი. 7) საბეითალო ნაწილი, 8) ეკონომიური აღორძინების ნაწილი, 9) სასურსათო ნაწილი. სჯა-ბაასის შემდეგ ყველა ამ განყოფილებებისათვის კრებამ ამოირჩია კომისიები: 1) ადმინისტრაცია-სასამართლო: გაგუა, ონიაშვილი, ეგნატაშვილი, ქარცივაძე და ეფრემიძე. თავმჯდომარეთ ქარცივაძე, მდივნათ ეგნატაშვილი, 2) სატეხნიკო განყოფილებაში: ტერ-სტეფანოვი, ლიაძე, გაგლოევი. თავმჯდ. გაგლოევი, მდივანი ლიაძე. 3) სახალხო განათლების: ეგნატაშვილი, კინწურაშვილი, არველაძე, ჯაფარიძე, მელიქაძე. თავმჯდომარეთ არველაძე, მდივნათ ეგნატაშვილი. 4) სტატისტიკურ-ფინანსიური: მაჭავარიანი, კვალიაშვილი, გურგენოვი, ონიაშვილი. თავმჯდომარეთ მაჭავარიანი, მდივ. კვალიაშვილი, 5) ეკონომიურ აღორძინების: შ. ჯავახიშვილი, ახალაძე, გორთამაშვილი, მაჭავარიანი, თავმჯდ. მაჭავარიანი, მდ. ჯავახიშვილი. 6) საექიმო სასანიტარო განყოფ.: ელიოზიშვილი. 7) საბეითალო: თევზიევი, ცინცაძე და კასრაძე, თავმჯდ. ცინცაძე, მდივნათ—კასრაძე. 8) სასურსათო: მაჭავარიანი, მელიქაძე, ხითაგური, მიქაძე, ილ. მაჭავარიანი, თავმჯდომარეთ სკ. მაჭავარიანი, მდ. მელიქაძე. 9) წვრილი საერობო ერთეული: ონიაშვილი, გაგლოევი, შაქრო ჯავახიშვილი, ცაბაძე, ეფრემიძე, თავმჯდ. ეფრემიძე, მდ. ჯავახიშვილი.

ყველა ეს კომისიები ვალდებულნი არიან დამფუძნებელ კრების წინ ერთი კვირის ადრე შეატყობინონ ცენტრალურ კომიტეტს მომხსენებლის ვინაობა. შენობის საკითხი დაევალა ფინანსიურ კომისიას. პირველი კრება ერობისა დანიშნულია 2 დეკემბერს.

ამ გვარად გორის მაზრად ჩაება საერთო ფერხულში. ამ ცოტა ხანში ერობის შემოღება, გორის მაზრაში ფაქტათ იქცევა.

ერობის რწმუნებულების საყურადღებოთ, რომელთა კრებაც მოხდება 2 დეკემბერს, მოვაგონებთ. ერობის გამგეობის არჩევნების დროს იხელმძღვანელონ შემდეგი მოსაზრებით: საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში გორის მაზრა ერთი უდიდეს მაზრათაგანია სამეურნეო დარგებითაც ყველა მაზრებზე მრავალფეროვანია და მდიდარი: მეხილეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, ხვნა-თესვა, მეტყეობა და სხვა. აგრეთვე ეროვნებათა აჭრელება. ყველა ეს გვაძლევს საბუთს, რომ გამგეობის შემადგენლობა ავიდეს 7 კაცამდის და არა 5 კაცი, როგორც სხვა მაზრებში. ვიმეორებ, გორის მაზრა, როგორც ტერიტორიის, ისე კიდევ კლიმატიური მრავალფეროვნებით ამას მოითხოვს. რაც შეეხება ფინანსიურ მხარეს, ეს მაზრა იმდენათ მდიდარია სხვადასხვა დარგებით, რომ თუ ფხიანი მცოდნე და ენერგიული გამგეობის წევრები მოხვდნენ ერობაში, იმედია, არამც თუ მაზრას დააკმაყოფილებს, ცენტრსაც გაუნაწილებს კარგა დიდს თანხას. წარტო [illegible] დიდი ტყის სახერხი ქარხანა გორის მაზრაში, რომელიც ჰოქმედობენ ატენის ხეობაში და ბორჯომისაში, შეინახავს ერობას თავი რომ დავანებოთ, აუარებელ ხილს და ბოსტნეულობას. ჩვენს ღრმა რწმენით,—აუცილებლათ საჭიროა გამგეობაში იმოირჩეს 7 კაცი.

შაქრო ჯავახიშვილი

## მუშათა შორის

სადგ. თფილისი. პარასკევს, 14 ნოემბერს, შესდგა საერთო კრება შვიდი ადგილობრივი პროფ. სექციის წევრებისა, რომელ კრებაზედაც უნდა აერჩიათ მეხუთე რაიონის პროფ. გამგეობა, თავმჯდომარეობდა ამხ. მეგრელიშვილი. მანვე გააკეთა მოკლე მოხსენება კავშირების ახლათ შედგენის შესახებ საქართველოს რესპ. რკ. გზებზე, და ბოლოს დასვა საკითხი, თუ რამდენი წევრისაგან შეედგინათ რაიონული პროფ. გამგეობა. კამათის შემდეგ გადაწყდა, რომ რადგანაც რაიონულ გამგეობას დიდი სამუშაო ექნება, და ამასთანავე ყოველ დარგის მუშებს უნდა ეყოლოს გამგეობაში წარმომადგენელი, გამგეობაში აირჩიეს 14 წევრი, თითო სექციიდან ორ-ორი წარმომადგენელი. რადგანაც ადგილობრივ სექციებს არ ჰყავდათ კანდიდატები არჩეული რაიონულ გამგეობაში სამუშაოთ, კრებამ დაავალა სექციების წარმომადგენლებს მოეხდინათ ადგილობრივი სექციების კრებები, და აერჩიათ ორ ორი წარმომადგენელი რაიონულ გამგეობაში სამუშაოთ და თვრამეტ ნოემბრის რაიონულ კრებაზე დასასწრებლათ.

თვრამეტ ნოემბერს შესდგა დასახელებული წევრების კრება. ასარჩევი იყო რაიონული გამგეობის პრეზიდიუმი. გადაწყდა პრეზიდიუმი აერჩიათ ხუთი კაცისაგან. თავმჯდომარე და ორი ამხანაგი, მდივანი და ერთი მისი ამხანაგი. ხაზინადრის მოვალეობა უნდა შეასრულოს თავმჯდომარის ამხანაგმა.—არჩევნების დაწყებამდის შემოდის ამხ. ნინუა, რომელიც აცხადებს, რომ რკინის გზის სამმართველოს პროფ. სექციების წარმომადგენლებიც შესულიყვნენ მეხუთე რაიონულ კავშირის გამგეობაში. ზოგიერთი ამხანაგები ამას უხერხულათ სცნობდნენ, და ამბობდნენ, რომ იმათი შემოერთება არევ-დარევას გამოიწვევსო. კამათის შემდეგ—საკითხი გადაიდო, რადგანაც იმათი შემოუერთებლობა პრეზიდიუმის არჩევას ხელს არ უშლიდა. თავმჯდომარის ადგილზე იყო ოთხი კანდიდატი დასახელებული. ძველი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მეგრელიშვილმა მოლოდინის გამო მოხსნა თავის კანდიდატურა. ბოლოს სმის უმეტესობით აირჩიეს ამხ. გიორგაძე. ამხანაგებათ თავმჯდომარისა არჩეულ იქნენ: მეგრელიშვილი და ფარჯანაძე. მდივნათ ამხ. კარიტინი და მის ამხანაგათ წითლიძე. ხაზინადრათ ფარჯანაძე. გადაწყდა რაიონული პროფ. გამგეობის მორიგი კრებები იმართებოდეს ორშაბათობით, საღამოს ექვს საათზე.

ერთი ამხანაგთაგანი აცხადებს, რომ რკინის გზის სამმართველოში მუშაობს შტატების შემმცირებელი კომისია და ხვალვე აცნობოს რაიონულმა პროფ. გამგეობამ თავის არსებობის შესახებ და საჭიროების დაგვარათ დაეხმაუროს მას. მომავალ ორშაბათისათვის მოწვეულია სექციების საერთო კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს სარევიზიო კომისია.

კრება ღამის ათ საათზე დაიხურა.

გ. ხპირიდონოვიჩ.

## პროვინცია

**თელავი.** თელავის საადგილ-მამულო კომიტეტის მუშაობა ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან ცუდ პირობებში არის. კომიტეტის წევრებმა ზოგმა „ოტპუსკი“ აიღო, ზოგი ავათ გახდა. ასე, რომ კომიტეტში აღარავინ დარჩა, კანტორის მოსამსახურეები არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას პირნათლად, არავის ხედავენ კომიტეტში საქმის შესრულების მომთხოვს. აგრეთვე ის მცირე ჯამაგირები, რომელიც მოსამსახურეებს აქვთ, არ არის საკმარისი, რომ თავი ირჩინოს ადამიანმა და ეს ერთი მიზეზთაგანია, რომ არ არიან საქმეზე გულმოდგინეთ. თფილისის მთავარმა საადგილ-მამულო სამმართველომ მოსამსახურეთ უნდა მოუმატოს ჯამაგირები, რათა ისინი პირნათლად ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას.

დღეს ბევრი სოფელი ერთი მეორეს არის გადაკიდებული მიწების მოჯნის შესახებ. ერთნი ამბობენ, ეს ჩვენ ადგილში არისო, მეორენი, ეს მე მქონდა მოხნული და წრეულსაც მე უნდა მოვხნაო და სხვა. მართალია ყველა სოფლებში არის სოფლის კომისიები, და ისინი აწესრიგებენ მიწების განაწილებას, მაგრამ საჭიროა მათი დახმარება, რომ მოწესრიგდება ყველა ეს, კომიტეტმა უნდა უხელმძღვანელოს მათ.

საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს დროზე და საქმე თავის დონიზე დადგეს. თელავის ყველა სოფლებს, მოედო ახალი ავადმყოფობა („ისპანკა“), სოფლებში ექიმები არ არიან და ხალხი წამლობის მხრივ უპატრონოთ არის დატოვებული. მე მომიხდა რამოდენიმე სოფელში მუშაობა და ჩემის თვალით ვნახე, რომ ერთი ოჯახიდან სამ დღეში ხუთი მიცვალებული გამოასვენეს, და ასეთი შემთხვევები ხშირია. თუ დიდხანს ასე უპატრონოთ დარჩა სოფლები და არავინ ყურადღება არ მიაქცია ამას, ხალხს თითქმის განადგურება მოელის. მთავრობამ ექიმები უნდა დანიშნოს, რომელნიც ივლიან სოფლად და დახმარებას აღმოუჩენენ ხალხს.

კალე.

**ხონი.** ამ სამი თვის წინათ ხონში გარდაიცვალა პროვიზორი დავით ვახნილისძე გლუშაკოვი. მისმა მეუღლემ, სოფიო ბარქაიას ასულმა, განსვენებულის სურვილის თანახმათ ქალაქის თვითმართველობას შესწირა სახალხო სახლისათვის ბანკის ქუჩაზე მდებარე ადგილი. ქალაქის თვითმართველობამ მადლობით მიიღო შემონაწირი და გადაწყვიტა ახლო მომავალში პატივისცეს განსვენებულის ხსოვნას, ხოლო სახალხო სახლის ასაშენებლათ დაიწყო ფონდის შეგროვება. ამ მიზნით ქალაქის კასაში მოკლე ხანში შემოვიდა დ. გლუშაკოვის ხსოვნის აღსანიშნავათ შემდეგ პირებისაგან: 100 მან. ქალაქის თავის ივანე ჰეჟანიძისაგან, 100 მ. ექ. შალვა მიქელაძისაგან, 200 მან. პ. გ. მდივნისაგან, 200 მ. იასონ გრიგოლაშვილისაგან, 200 მ. ექ. მაგ. იოსელიანისაგან, და 200 მ. სპ. ნიჟარაძისაგან. გარდა ამისა ფონდს მიემატა: სოც. დემ. მიერ გამართულ საღამოსაგან პროცენტები 80 მან განსვენებული ალექ. სიმ. წივწივაძის ხსოვნის აღსანიშნავად ლიუბა და მარიამ სანოძეებისაგან 50 მ. და ლიუბა სიმონის ასულის ფოცხვერიასაგან განსვენებულ მეუღლის ხსოვნის აღსანიშნავათ 100 მ. ხონელები დიდი ხანია გრძნობენ სახალხო სახლის საჭიროებას. თუ დღემდის ხეირიანი აუდიტორია არა გვქონდა ეს იმის ბრალი იყო, რომ შესაფერისი ადგილი არ გვქონდა შენობის ასაგებათ. ეხლა, როდესაც ახალგაზრდა ქალაქმა პირველი უხვი შემოწირულება მიიღო— ამის შემდეგ ეჭვი არ არის, რომ ძალიან მალე ჩაეყრება საძირკველი სახალხო სახლს. თვითმართველობას განზრახული აქვს ისეთი შენობა ააგოს, რომელიც დააკმაყოფილებს აქაურ მოთხოვნილებას. სამწუხაროთ, ამის სისრულეში მოყვანა ძნელდება, რადგან შემონაწირი ადგილი იმდენი არ არის სივრცით, რომ მოზრდილი შენობა დაიტიოს. ქალაქის თვითმართველობას იმედი აქვს, რომ ქ-ნ სოფიო გლუშაკოვისა დაუთმობს ქალაქს შემოწირულ ადგილის მეორე ნახევარსაც, თუ შემოწირვის სახით არა, ზომიერ ფასებში მაინც. თუ მეორე ნახევარიც არ გადავიდა ქალაქის განკარგულებაში—იმ შემთხვევაში სახალხო სახლიერ პატარა გამოვა და ათიოდე წლის შემდეგ ხონელებმა კიდევ სახალხო სახლზე უნდა იზრუნონ. აქ ყველა დარწმუნებულია, რომ ქ. სოფიო გლუშაკოვა სანახევროდ გაკეთებულ საქმეს მთლად დააგვირგვინებს.

N

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი გაზეთის ქრონიკაში იყო ცნობა, რომ თფილისის ხაზინის მოხელეები, ესტატე ანდრიას ძე გიუნაშვილი და გიორგი ქევხიშვილი შეიპყრეს, რომელთაც ბრალდებათ ხაზინის მოხელეების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობაო. ჩვენ ზემოხსენებული მოხელენი შეგვიპყრეს სხვებთან ერთად და ისევ განთავისუფლებული ვიყავით, რადგანაც არავითარი ბრალი არ გვედებოდა. სათანადო მოწმობას, რომ ჩვენ უდანაშაულონი ვართ და ჩვენ წინააღმდეგ არც აღძრულა რაიმე გამოძიებას ვადგენთ რედაქციაში.

ესტატე ანდრიას ძე გიუნაშვილი და გიორგი ქევხიშვილი.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ გაზეთში. ვაცხადებ ქუთაისის და თფილისის გუბერნიაში მცხოვრებ ხალხის გულშემატკივარ ამხანაგების საყურადღებოთ: გურიაში 1913 წ. ზედმეტი ხარჯების შემცირების ინიციატორმა, მე, ვარდენ სიმონის ძე ძიძიშვილმა ეხლახან ავიღე ნებართვა უმაღლეს მთავრობისაგან ამ ორ გუბერნიის სოფლებში ვებრძოლო ძველ მავნე ზნე ჩვეულებებს და მათ გამოწვეულ ხარჯებს. მაგალითად, ქელეხის და სხვა ხარჯები. ამისათვის მოგმართავთ, ამ ორი გუბერნიის სამმართველოების კომისრებს და ხალხის გულშემატკივარ ამხანაგებს, რომ თუ საჭიროთ სცნობთ ამ კეთილ საქმეს ამ [illegible] ამ ადგილს დამიბარეთ კერძო წერილით, გინდ პრესის საშუალებით, რომ გიახლოთ და თქვენთან ერთად ვიმუშაო ამ კეთილ საქმეზე. ჩემი მისამართი: თფილისი მე-11 კომისარიატი, პარკის ქუჩა № 31 საკუთარი სახლი ვარდენ ძიძიშვილი.

## განცხადებანი


მედ. დოქტ. რ. ბ. შიშლო-ხაზაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ყოფ. [illegible] მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფებს და იძლევა ხანგრძლივ დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

გახსნილია კერძო სამკურნალო
მუდმივი საწოლებით.
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი
იოსებ რაფიელის ძე ცინცაძე
ლებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65

მიხეილის კერძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—85. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ, 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობელისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმ ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (91—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილი 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექიმი
ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო)

ექიმი ზ. მ. მუხაძე
იღებს სალდოსტაქრო ავათმყოფთ [illegible] 5—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; [illegible] ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible] ტელ. № 5—77

ექიმი მ. ა. შაპირანი.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები ([illegible]) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. [illegible] მიღება ყოველდღე დილით 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლდას ქ. № 33.

მედიცინის დოქტორი
ა. ვ. მაჭავარიანი
იღებს ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქ. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ვილის ტელ. № 49.

კბილის საექიმო კაბინეტები
თედორე სავვარელის ძე ცხომელიძისა
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კოლოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, ხიხბლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სნეულებათ, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

ექიმი
დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ელექსისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მმარ. წრე.
სახალხო სახლი.
ხუთშაბათს, 28 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება:
სოფლის გმირები
პიესა 4 მოქ. ე. ნინოშვილის მოთხრობიდან, გადმოკ. პ. ირეთელის მიერ.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ს. ანკარა, თ. გოგოლაშვილი, ს. რომანიშვილი-დგებუაძისა, ბ-ნნი: ა. თავდგირიძე, ე. ოალაკვაძე, ი. რომანიშვილი, ს. ტარუაშვილი, ფინიაშვილი, ი. მიანდიაშვილი, ა. მეტრეველი, ი. სალაყაია, ნ. ჰანკვატაძე,მ. მამაჯანოვი.
დასაწყისი საღ. 7 საათზე. ადგილების ფასი 3 მ.—50 კ.-მდე.
ბილეთების კასა ღიაა ყოველ დღე დილის 10—12-მდე და საღამოს 6—8 საათამდე.
შემდეგი წარმოდგენა 1 დეკემბერს. რეჟისორი ი. ზარველი.

სახელმწიფო თეატრი
ოპერა.
ხუთშაბთს, 28 ნოემბერს
მ. ი. ალეშკოს, ა. მ. კანშინის და ისეცკის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება
ჟიდოვკა
ოპერა 4 მოქ. 5 სურ.
ფასები დაწეულია. დასაწყისი საღამოს $7^{1}/_{2}$ საათ.


საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს
საგარეო ნაწილისაგან.
საქონლის გამცვლელ კომიტეტისაგან.

საქართველოს საზღვრებიდან თუთუნის გატანის წესრიგზე.

თანახმად რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის 16 ნოემბრის დადგენილებისა, საქართველოს საზღვრებიდან თუთუნის გატანის შესახებ შემუშავებულია შემდეგი წესი:

1) გაზიდვა თუთუნის ნაწარმოებთა, რომლებზედაც გადახდილია სააქციზო ბეგარა, აღმოსავლეთის საზღვრებით ადერბეიჯანში და სამხრეთით სომხეთში, შეუძლიანთ თუთუნის მეფაბრიკეთ, რომელთაც დაუბრკოლებლივ მიეცემათ ნებართვა უპირობოთ.

ხოლო გაზიდვა თუთუნის ნაწარმოებთა სხვადასხვა პირთა მიერ, აგრეთვე გაზიდვა სხვა საზღვრებიდან, ექვემდებარება საერთო წესს საქონლის გაცვლისას.

2) ფოთლობითი თუთუნის საქართველოს საზღვრებიდან გაზიდვა ხდება მხოლოდ, ჩვენთვის საჭირო, თანასწორი ღირებულების სამაგიერო საქონლის შემოზიდვის პირობით.

ნებართვა ფოთლობითი თუთუნის გაზიდვისა მიეცემა ყველა მსურველთ, ვინც წარმოადგენს საკუთარის საწინდარს, რაიცა უზრუნველჰყოფს სამაგიერო საქონლის შემოტანას.

საქონლის გამცვლელ კომიტეტის თავმჯდომარე დ. აფხაზი.
საქმეთა მმართველი გ. ჯანელიძე.